



სარჩელი
ადმინისტრაციულ საქმეზე

თბილისის საქალაქო სასამართლოს
ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას

მხოლოდ სასამართლო მოხმარებისთვის

შტამპის ადგილი

მოსარჩელე:

1. ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა“ სახელი, გვარი (სახელწოდება)	204952676 პირადი (საიდენ.) ნომერი	0179, თბილისი, ფალიაშვილის 39ბ, 4სართ. ძირითადი მისამართი (ფაქტ. ადგილსამყოფელი)
---	---	---

ალტერნატიული მისამართი	სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი
------------------------	---

2223874				
სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

მოსარჩელის წარმომადგენელი:

ნინო გუჯარაიძე ირმა მახათაძე სახელი, გვარი, ადვოკატის სიითი ნომერი	პირადი ნომერი	0179, თბილისი, ფალიაშვილის 39ბ, 4სართ. თბილისი, კოსტავას ქ. #76ა, ბ.6 ძირითადი მისამართი
---	---------------	--

ალტერნატიული მისამართი	სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი
------------------------	---

სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

მოპასუხე:

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო სახელი, გვარი (სახელწოდება)	პირადი(საიდენ.) ნომერი	მარშალ გელოვანის #6, 0159, თბილისი ძირითადი მისამართი (ფაქტ. ადგილსამყოფელი)
---	------------------------	---

ალტერნატიული მისამართი	სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი
------------------------	---

2 470 101; 2 378 009				info@mepa.gov.ge
სახლის ტელ..	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

საკონტაქტო პირი:

სახელი, გვარი	სახლის ტელ.	მობილური	ელექტრონული ფოსტა
ფორმასთან დაკავშირებით კითხვის, შენიშვნის ან რეკომენდაციის არსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ნომერზე (995 32) 227-31-00 ან მოგვეწეროთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, მისამართზე: forms@hcoj.gov.ge სანიმუშო ფორმა შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: www.hcoj.gov.ge			

სასამართლოში დასაბარებელ პირთა სია

დასაბარებელი პირის სტატუსი

სახელი, გვარი	პირადი ნომერი	ძირითადი მისამართი		
ალტერნატიული მისამართი	სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი			
სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

დავის საგანი

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან.

ქვემოთ მიუთითეთ თქვენს კანონიერ ინტერესზე, თუკი გსურთ აღიარებითი სარჩელის აღძვრა.

დავის არსის მოკლე მიმოხილვა

2019 წლის 1 ოქტომბერს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა მიიღო გადაწყვეტილება „შპს „ენკა რინიუებლზის“ მდ. რიონზე ორსაფეხურიანი ჰესების კასკადის (ტვიში ჰესი 100 მგვტ დადგმული სიმძლავრით და ნამახვანი-ჟონეთი ჰესი - 333 მგვტ დადგმული სიმძლავრით) მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტში ექსპლუატაციის პირობების ცვლილების (ქვედა ნამახვანი) სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ“. სკოპინგის დასკვნით განისაზღვრა გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზმ) ანგარიშის მომზადებისათვის სავალდებულო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი. თუმცა, როგორც პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის განხილვის ეტაპზე გაირკვა შპს „ენკა რინიუებლზმა“ არ უზრუნველყო პროექტის ადამიანების ჯანმრთელობისა და გარემოსათვის უსაფრთხოებისათვის შესამოწმებლად კანონითა და პროექტის სკოპინგის დასკვნით სავალდებულო კვლევების ჩატარება. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ კი ნაცვლად იმისა, რომ შეეჩერებინა ადმინისტრაციული წარმოება და მოეთხოვა ნებართვის მაძიებლისათვის ინფორმაციის სრულყოფილად წარმოდგენა, ან უარი ეთქვა პროექტზე დადებითი გადაწყვეტილების გაცემაზე, გასცა დადებითი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება და დაავალა ნებართვის მფლობელს, პოსტ ფაქტუმ, იმ ინფორმაციის წარმოდგენა, რომელიც კრიტიკულად მნიშვნელოვანი და კანონით სავალდებულო იყო გადაწყვეტილების მიღების ეტაპზე, რათა განსაზღვრულიყო პროექტის განხორციელების შედეგად გარემოს, ადამიანის სიცოცხლის ან/და ჯანმრთელობის, კულტურული მემკვიდრეობისა და მატერიალური ფასეულობებისათვის შექმნილი საფრთხის დონე და ამ საფრთხის შემსუბუქებისა, თუ თავიდან არიდების შესაძლებლობები. ამასთანავე, გასაჩივრებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებისას უხემად იყო უგულებელყოფილი გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების ინფორმირებისა და მონაწილეობის უზრუნველყოფისათვის ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობით დადგენილი ნორმები.

ამდენად, „წყალტუბოსა და ცაგერის მუნიციპალიტეტებში, შპს „ენკა რინიუებლზის“ მდ. რიონზე ორსაფეხურიანი ჰესების კასკადის (ტვიში ჰესი 100 მგვტ დადგმული სიმძლავრით და ნამახვანი-ჟონეთი ჰესი - 333 მგვტ დადგმული სიმძლავრით) მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტში ექსპლუატაციის პირობების ცვლილებებზე (ქვედა ნამახვანი) გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 28 თებერვლის #2-191 ბრძანება გამოცემულია მოქმედი კანონმდებლობის უხეში დარღვევით, რის გამოც ბათილად უნდა იქნეს ცნობილი.

ა(ა)პ მწვანე ალტერნატივა არის არასამთავრობო ორგანიზაცია, რომლის საქმიანობის ძირითად მიმართულებას გარემოსდაცვითი საკითხები, მათ შორის ენერგეტიკული პროექტების დაგეგმვის/განხორციელების შედეგად ადგილობრივი სოციალური და ბუნებრივი გარემოს დაცვის უზრუნველყოფა წარმოადგენს.

დავის ფაქტობრივი გარემოებები

1. ფაქტობრივი გარემოება

2015 წლის 25 დეკემბერს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრმა დაამტკიცა ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა № 73; (25.12.2015 წ) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს მიერ წარმოდგენილ სს „ნამახვანის“ მდ. რიონზე ორსაფეხურიანი ჰესების კასკადის (ტვიში ჰესი 100 მგვტ დადგმული სიმძლავრით და ნამახვანი-ჟონოთი ჰესი 333 მგვტ დადგმული სიმძლავრით) მშენებლობისა და ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშზე. დადებითი ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა გაიცა მიუხედავად იმისა, რომ განსახილველად წარდგენილი დოკუმენტაცია პროექტის განმახორციელებელს არ წარუდგენია გადაწყვეტილების მიღებისათვის კანონით სავალდებულოდ წარსადგენი მნიშვნელოვანი ინფორმაცია. ამას მოწმობს მიღებული გადაწყვეტილების ტექსტიც, რომლითაც ამ ინფორმაციის წარდგენა პროექტის განმახორციელებელს პოსტ ფაქტუმ დაევალა. კერძოდ, საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებული იყო:

- მშენებლობის ნებართვის მიღებიდან 3 თვის ვადაში შეემუშავებინა და სამინისტროში წარედგინა **ბუნებრივი კატასტროფების პრევენციული ღონისძიებებისა და ავარიებზე რეაგირების სამოქმედო გეგმა** (პირობა #3.);
- უზრუნველყო დაგეგმილი წყალსაცავების დატბორვის არეალში განვითარებული **გეოდინამიკური პროცესების დეტალური შესწავლის**, შეფასებისა და პროგნოზისათვის საჭირო სამუშაოების ჩატარება (მათ შორის წარდგენილი უნდა ყოფილიყო მეწყრული სხეულების საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილები ცოცვის სიბრტყის განლაგებით და მათი „სიცოცხლისუნარიანობის“ გათვალისწინებით). ჩატარებული სამუშაოების შესახებ მასალები დასამტკიცებლად უნდა წარედგინა სამინისტროში სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე და საკითხი ასევე უნდა ასახულიყო მონიტორინგის გეგმაში (პირობა #4.);
- უზრუნველყო მშენებლობის დაწყებამდე დაგეგმილი კასკადის ზეგავლენის არეალში არსებული **კარსტული მღვიმეების დეტალური კვლევის** ჩატარება და სამინისტროში განსახილველად წარედგინა (პირობა #5.);
- მშენებლობის დაწყებამდე უზრუნველყო **გამონამუშევარი ქანების განთავსებისათვის** ტერიტორიის შერჩევა და პროექტის სამინისტროსთან შეთანხმება (პირობა #9.);
- შეემუშავებინა **ნარჩენების მართვის გეგმა** (პირობა #10.);
- სამინისტროში შესათანხმებლად წარედგინა პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ტერიტორიის (განსაკუთრებით ‘ფაუნის მაღალმცძობიარე უბნებთან’ მიმართებით) **ზოოლოგიური კვლევა**, შესაბამისი საკომპენსაციო ღონისძიებებით (პირობა #13.);
- მშენებლობის დაწყებამდე უზრუნველყო ბიომრავალფეროვნების კომპლექსური აღდგენის, ბიოდგენის და **საკომპენსაციო ღონისძიებების გეგმებისა და შემარბილებელი ღონისძიებების** შესახებ ინფორმაციის სამინისტროში წარდგენა (პირობა #14.);
- მშენებლობის დაწყებამდე უზრუნველყო **წითელის ნუსხის მცენარეების ჭრის საჭიროების** შესახებ ინფორმაციის წარდგენა სამინისტროში (პირობა #15);
- შეემუშავებინა ჰაბიტატების დაკარგვა-ფრამენტაციის, მცენარეების განადგურებისა და ამ მიზეზით ცხოველებზე ზემოქმედების **საკომპენსაციო ღონისძიებები** (პირობა #16);
- მშენებლობის დაწყებამდე სამინისტროში წარედგინა **სამშენებლო ბანაკებისა და სამშენებლო მოედნების დეტალური სქემები**. მათ შორის ინფორმაცია განთავსების ადგილის, მიწის კატეგორიის, ნიადაგის მდგომარეობისა და ფართობის შესახებ (პირობა #19);
- იმ შემთხვევაში, თუ მშენებლობის ეტაპზე განთავსდება ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროები (ანუ, **დასკვნის გაცემისას არც კი იყო ცნობილი რა ზემოქმედება იყო მოსალოდნელი**) - უზრუნველყო კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტაციის შემუშავება და სამინისტროსთან შეთანხმება (პირობა # 20);
- იმ შემთხვევაში, თუ მშენებლობისა და ექსპლუატაციის პერიოდში მოხდება ზედაპირული წყლის ობიექტში წყალჩაშვება (ანუ, **დასკვნის გაცემისას არც კი იყო ცნობილი რა ზემოქმედება იყო მოსალოდნელი**) -

უზრუნველყო კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტაციის შემუშავება და სამინისტროსთან შეთანხმება (პირობა # 21).

მტკიცებულება - დანართი #1. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 25 დეკემბრის Nი-1014 ბრძანება

2. ფაქტობრივი გარემოება

2019 წლის 18 იანვარს სს „ნამახვანის“ დირექტორმა სკრინინგის განცხადებით მიმართა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს, რომელშიც აღიშნული იყო, რომ „პროექტის ოპტიმიზაციის პროცესში მიღებული იქნა გადაწყვეტილება ჰესების კასკადის თავდაპირველ პროექტში ცვლილებების შეტანის თაობაზე, კერძოდ:

ზედა ნამახვანი ჰესი (საბაზო პროექტის მიხედვით ტვიში ჰესი):

- ესკიზური პროექტით გათვალისწინებულია ჰესის შენობის განთავსება კაშხლის კონსტრუქციაში, კერძოდ კაშხლის ძირთან, ნაცლად საბაზო პროექტით გათვალისწინებული საპროექტო გადაწყვეტისა, რომლის მიხედვით კაშხლის მოწყობა დაგეგმილი იყო 337 მ-ის დაცილებით.
- დაწნევის გაზრდის მიზნით, გათვალისწინებულია მდ. რიონის კალაპოტის ჩაღრმავება კაშხლიდან სოფ. ორხვის ხიდის მიმართულებით, რაც უზრუნველყოფს ქვედა ბიეფის დონის დაწევას ჰესის შენობასთან;
- საბაზო პროექტით ქვესადგურის განთავსება დაგეგმილი იყო კაშხლის ქვედა დინებაში, ესკიზური პროექტით კი მისი მოწყობა დაგეგმილია კაშხლის კონსტრუქციაში ჰესის შენობის გვერდით;

ქვემო ნამახვანი ჰესი (საბაზო პროექტის მიხედვით ნამოხვანი-ჟონეთი ჰესი):

- ჰესის შენობის გადატანა მდ. რიონის ზედა დინებაში დაახლოებით 1.5 კმ მანძილზე;
- დაახლოებით 1.5 კმ სიგრძის გამყვანი არხის მოწყობა, რაც უზრუნველყოფს დონის დაწევას დაწნევის გაზრდის მიზნით;
- წყალმიმღების მოწყობა კაშხლის მიმდებარედ, რომელიც საბაზო პროექტის მიხედვით დაგეგმილი იყო კაშხლიდან 2 კმ-ის დაცილებით;
- წყალმიმყვანი გვირაბის ტექნიკური პარამეტრები არსებითად უცვლელი რჩება. წყალმიმღების და ჰესის შენობის ადგილმდებარეობის ცვლილებასთან დაკავშირებით იცვლება წყალმიმყვანი გვირაბის დერეფანი;
- სამშენებლო სადერივაციო გვირაბის მოწყობა, ნაცლად საბაზო პროექტით დაგეგმილი მარცხენა სანაპიროსა მოეწყობა მარჯვენა სანაპიროს ფერდობზე;
- საბაზო პროექტთან შედარებით ქვედა ნამახვანი ჰესის კაშხლის საძირკველის დონე 1.5 მ-ით დაბლდება;
- წყალსაცავის მაქსიმალური შეტბორვის ნიშნულის აწევა 1,5 მ-ით.

სს „ნამახვანის“ დირექტორმა ითხოვა წარდგენილი დოკუმენტაციის განხილვის საფუძველზე გადაწყვეტილების მიღება იმის თაობაზე, ექვემდებარებოდა თუ არა პროექტში შეტანილი ცვლილება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემას გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად.

აღნიშნული განცხადებისა და წარდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა მიიღო გადაწყვეტილება, რომლის თანახმად, ნამახვანი ჰესის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტში შეტანილი ცვლილებები დაექვემდებარა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.

მტკიცებულება - დანართი #2. სს „ნამახვანის“ დირექტორის 2019 წლის 18 იანვრის სკრინინგის განცხადება - 29 ფურცელი; დანართი #3. „ნამახვანის ჰესების კასკადის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტში შეტანილი ცვლილებებზე (ექსპლუატაციის პირობების შეცვლა) სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ“ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 14 თებერვლის N 2-143 ბრძანება;

3. ფაქტობრივი გარემოება

2019 წლის 13 ივნისს შპს „ენკა რენიუბილს“ დირექტორმა მიმართა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს და მოითხოვა წარდგენილ ქვემო ნამახვანი ჰესის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტში შეტანილი

ცვლილებების სკოპინგის ანგარიშზე სკოპინგის დასკვნის გაცემა. ანგარიშის თანახმად, „საქართველოს მთავრობამ, მშენებლობა-ფლობა-ექსპლუატაციის უფლების მოპოვების მიზნით გამოცხადებული კონკურსის შედეგების საფუძველზე, პროექტი გადასცა საერთაშორისო კომპანია „ქლინ ენერჯი გრუფ ჯორჯია“-ს (CEGG). გარდა ამისა, 2019 წლის 25 აპრილს CEGG და მთავრობას შორის გაფორმდა მშენებლობის, მფლობელობის და ოპერირების ხელშეკრულება. მოგვიანებით კომპანიას შეეცვალა სახელწოდება და დღეისათვის საქმიანობას ახორციელებს შპს „ენკა რინიუებლზი“.

მტკიცებულება - დანართი #4. შპს „ენკა რინიუებლზის“ 2019 წლის 13 ივნისს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარდგენილი წერილი;

4. ფაქტობრივი გარემოება

2019 წლის 1 ოქტომბერს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა მიიღო გადაწყვეტილება „შპს „ენკა რინიუებლზის“ მდ. რიონზე ორსაფეხურიანი ჰესების კასკადის (ტვიში ჰესი 100 მგვტ დადგმული სიმძლავრით და ნამახვანი-ჟონეთი ჰესი - 333 მგვტ დადგმული სიმძლავრით) მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტში ექსპლუატაციის პირობების ცვლილების (ქვედა ნამახვანი) სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ“. სკოპინგის დასკვნით განისაზღვრა **გზმ-ის ანგარიშის მომზადებისათვის სავალდებულო** კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი. დასკვნის თანახმად:

„4. გზმ-ს ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს:

- პროექტში ცვლილების საჭიროების დასაბუთება;
- ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის N73 ფარგლებში განხორციელებული სამუშაოების და აღნიშნული დასკვნის პირობების შესრულების კუთხით განხორციელებული კვლევების შესახებ დეტალური ინფორმაცია.
- დაგეგმილი ცვლილებების დეტალური აღწერა;
- არსებული ჰესის ძირითადი ტექნიკური პარამეტრები დაგეგმილი ცვლილების და ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით N73 გათვალისწინებული პარამეტრების ურთიერთშედარების გათვალისწინებით (სადერივაციო / სადაწნეო მილსადენის დიამეტრი, სისქე და სხვა);
- ჰესის შემადგენელი ობიექტების, მისასვლელი გზების შესახებ ინფორმაცია და shape ფაილები;
- ჰესის ძირითადი ინფრასტრუქტურის დაშორება მოსახლეობასთან (დასახლებული პუნქტის მითითებით) კონკრეტული მანძილების მითითებით;
- ჰესის ოპერირების პროცესში დასაქმებული ადამიანების საერთო რაოდენობა მათ შორის დასაქმებულთა ადგილობრივების წილი;
- საპროექტო ჰესის ძირითადი ტექნიკური მახასიათებლების ცხრილი და პროექტის განმარტებითი ბარათი, ყველა შემადგენელი ჰიდროტექნიკური ნაგებობების აღწერით;
- პროექტის ცვლილების ალტერნატიული ვარიანტები: შესაბამისი დასაბუთებით, მათ შორის არაქმედების ალტერნატივა, ჰესის ინფრასტრუქტურული ობიექტების (სათავე ნაგებობა, სადაწნეო/სადერივაციო მილსადენი, ჰესის შენობა) განთავსების ალტერნატიული ვარიანტები და გარემოსდაცვითი თვალსაზრისით შერჩეული დასაბუთებული ალტერნატივა;
- თევზსავალი და თევზამრიდი ნაგებობების დეტალური აღწერა და მისი ფუნქციონირების შესახებ ინფორმაცია, მათ შორის თევზსავალის ზედა და ქვედა ნიშნულები, პარამეტრები, ჰიდრავლიკური გაანგარიშების შედეგები (იმისათვის, რომ შესაძლებელი იყოს იქთიოფაუნაზე ზეგავლენის პროგნოზირება);

4.1 შესრულებული სამუშაოების შესახებ ინფორმაცია კერძოდ:

- მცენარეული და ნიადაგის საფარის მოხსნის სამუშაოების, გრუნტის სამუშაოების და სარეკულტივაციო სამუშაოების შესახებ დეტალური ინფორმაცია („ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნათა დაცვით);
- გამოყენებული ტექნიკის ჩამონათვალი და რაოდენობა;
- ჰესის შენობიდან მდინარეში წყლის გამყვანი არხის პარამეტრები (სიგრძე, დიამეტრი, კვეთი და სხვ.);
- წყალმომარაგების პროექტის აღწერა, შესაბამისი ნახაზებით თუ როგორ მოხდება ჰესის ძალური კვანძის სასამეღ-სამეურნეო წყალმომარაგება (ინდივიდუალურად თუ წყალმომარაგების სისტემებიდან) და ასევე სამეურნეო-

ფეკალური წყლების არინების შესახებ ინფორმაცია, კერძოდ მოეწყობა საასენიზაციო ორმო თუ სამეურნეო-ფეკალური წყლებისათვის ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობა;

- როგორ გადაწყდება საპროექტო ტერიტორიაზე წარმოქმნილი ჩამდინარე წყლების მართვის საკითხი, ტერიტორიაზე გათვალისწინებული საასენიზაციო ორმოს ტევადობა. არსებობის შემთხვევაში ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობის ტიპი, პარამეტრები, გამწმენდის ეფექტურობა და ტექნოლოგიური სქემა. საწარმოო ჩამდინარე წყლებისთვის დაგეგმილია თუ არა სასელიმენტაციო გუბურების მოწყობა;
- ჰესის ტერიტორიაზე საწვავის შესანახი რეზერვუარის ტიპი და ტევადობა.

4.3 დერეფანში ჩატარებული გეოლოგიური კვლევის ანგარიში, რომელიც უნდა მოიცავდეს შემდეგს:

- საპროექტო უბნის გეოლოგიური აგებულება;
- რეგიონის ზოგადი გეოლოგიური რუკა;
- რელიეფი (გეომორფოლოგია);
- დერეფნის საინჟინრო-გეოლოგიური რუკა, საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილები;
- ტერიტორიის გეომორფოლოგიური, გეოლოგიური, ჰიდროგეოლოგიური, სეისმური და ტექტონიკური პირობების აღწერა;
- ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები. მათ შორის ყურადღება უნდა გამახვილდეს საპროექტო დერეფანში საშიში გეოდინამიკური პროცესების (მეწყერი, ეროზია, ქვათაცვენა) განვითარების თვალსაზრისით რთული უბნების ადგილმდებარეობებსა და აღწერაზე. მოცემული უნდა იყოს გასატარებელი პრევენციული ღონისძიებები (დამცავი ნაგებობები, ფერდობების დატერასება და ა.შ.);
- საპროექტო დერეფანში ჩატარებული დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები (ჭაბურღილების რაოდენობა, ადგილმდებარეობა, ლაბორატორიული კვლევები, გრუნტების ლაბორატორიული კვლევის შედეგები და ა.შ.);
- გეოლოგიური კვლევის შედეგების გათვალისწინებით შემუშავებული დასკვნები და რეკომენდაციები შესაბამის შემარბილებელ ღონისძიებებთან ერთად;

4.4 ჰიდროლოგიური კვლევის ანგარიში, რომელიც უნდა მოიცავდეს შემდეგს:

- მდინარე რიონის ჰიდროლოგია;
- დეტალური ინფორმაცია მდინარის საშუალო წლიურ ხარჯებზე და ჩამონადენის შიდაწლიურ განაწილებაზე;
- დეტალური ინფორმაცია მაქსიმალურ ჩამონადენზე, მინიმალურ ჩამონადენზე, მყარ ნატანზე;
- ეკოლოგიური (სანიტარული) ხარჯი (ასევე მისი დადგენის მეთოდოლოგია);
- დეტალური ინფორმაცია ჰესის მიერ ასაღები წყლის რაოდენობებზე 10%, 50% და 90%-იანი უზრუნველყოფისთვის;
- მილსადენის გადამკვეთი მუდმივი და დროებითი ნაკადების შესახებ ინფორმაცია;
- ღვარცოფული ნაკადების შესახებ ინფორმაცია და საჭიროების შემთხვევაში ღვარცოფსაწინააღმდეგო ღონისძიებები, კალაპოტური პროცესების და ნაპირსამაგრი სამუშაოების შესახებ;

4.5 წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია სათავე კვანძის ქვედა ბიეფში გადაღინებული ნამეტი წყლის ენერჯის ჩამქრობი ჭების (აუზის) შესახებ;

4.6 გზმ-ს ანგარიშში აუცილებელია აისახოს ინფორმაცია, რომელიც გამორიცხავს სასმელი წყლის დაბინძურების რისკებს. აქედან გამომდინარე გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს:

- ჰესის შენობაში განთავსებული ჰიდროტურბინების დეტალური აღწერა, ნამუშევარ წყალში ზეთების შერევის რისკების გათვალისწინებით;
- ჰიდროტურბინების გაგრილების სისტემის აღწერა და გამაგრილებელ სისტემაში გამოყენებული წყლის მართვის საკითხები;

4.7 ბიოლოგიური გარემო: ტერიტორიის ფლორისა და მცენარეული საფარის დეტალური აღწერა; საქართველოს იშვიათი და წითელი ნუსხის სახეობები, რომლებიც გვხვდება დაგეგმილ საპროექტო დერეფანში; ხმელეთის ფაუნა; საპროექტო დერეფანში გავრცელებული საქართველოს წითელ ნუსხაში შეტანილი ცხოველთა სახეობები; საკვლევო არეალი და სავლეთ კვლევის მეთოდები, სენსიტიური ადგილები, სავლეთ კვლევის შედეგები;

4.9. გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება გარემოს თითოეული კომპონენტისათვის და პროექტის განხორციელების შედეგად მოსალოდნელი ზემოქმედებების შეჯამება, მათ შორის:

- ხმაურის გავრცელება და მოსალოდნელი ზემოქმედება ექსპლუატაციის ეტაპზე და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;
- ექსპლუატაციის ეტაპზე გეოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება და საშიში გეოდინამიკური პროცესები და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;
- საშიში გეოლოგიური პროცესების შესაძლო გააქტიურების განსაზღვრა საპროექტო ობიექტის ექსპლუატაციის პერიოდში და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;
- ზემოქმედება მიწისქვეშა/გრუნტის წყლებზე და შემარბილებელი ღონისძიებები;
- ზემოქმედება ზედაპირულ წყლებზე ექსპლუატაციის ეტაპზე, ზედაპირული წყლების დაბინძურების რისკი, მდინარის კალაპოტში წყლის ხარჯის შემცირება და სავალდებულო ეკოლოგიური ხარჯი, შესაბამისი ზემოქმედება და შემარბილებელი ღონისძიებები, ასევე დონემზომის გათვალისწინება (წყლის ხარჯის მუდმივად გაზომვის მიზნით);
- ზემოქმედება ნატანის მოძრაობაზე;
- ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება და ზემოქმედების შეფასება ექსპლუატაციის ეტაპზე;
- მცენარეულ საფარსა და ჰაბიტატის მთლიანობაზე ზემოქმედება, ცხოველთა სამყაროზე ზემოქმედება, იქთოფაუნაზე ზემოქმედების დახასიათება (მათ შორის წითელი ნუსხის), შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;
- ინფორმაცია ზემოქმედებას დაქვემდებარებული ხე-მცენარეების შესახებ სახეობების და რაოდენობის მითითებით. ზემოქმედება ეროვნული კანონმდებლობითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით დაცულ სახეობებზე და ჰაბიტატზე. ამ ზემოქმედების თავიდან აცილებაზე და საკომპენსაციო ღონისძიებებზე, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში ჰაბიტატის აღდგენის ღონისძიებებზე.
- გზმ-ის ანგარიშში უნდა აისახოს ინფორმაცია უშუალოდ პროექტის გავლენის ზონაში არსებულ ცხოველებზე (განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს საერთაშორისო ხელშეკრულებებით და საქართველოს "წითელი ნუსხით" დაცულ სახეობებზე), მათ შორის წყალზე დამოკიდებულ ცხოველებზე, მათზე შესაძლო ზემოქმედებაზე, ამ ზემოქმედების თავიდან აცილებაზე და საჭიროების შემთხვევაში საკომპენსაციო ღონისძიებებზე.
- წარმოდგენილ იქნას ზემოაღნიშნული კვლევის შედეგები;
- ბიომრავალფეროვნების ცალკეულ კომპონენტებზე შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების თავი;
- სანაყაროების განთავსების ალტერნატიული ვარიანტები ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების კუთხით.
- ინფორმაცია სახელმწიფო ტყის ფონდის ფართობის შესახებ რაც საჭიროა ქვედა ნამახვანი ჰესისათვის ინფრასტრუქტურისათვის მათ შორის დაგეგმილი ცვლილების გათვალისწინებით.
- ზემოაღნიშნული კვლევების შედეგების საფუძველზე, მონიტორინგის გეგმაში აისახოს, ბიომრავალფეროვნების ცალკეულ კომპონენტებზე ზემოქმედებაზე დაკვირვების საკითხი.
- ნარჩენების მართვის საკითხები, ნარჩენების მართვის გეგმა, ნარჩენების წარმოქმნით მოსალოდნელი ზემოქმედება;
- ზემოქმედება და ზემოქმედების შეფასება სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე, მიწის საკუთრებასა და გამოყენებაზე, ბუნებრივი რესურსების შეზღუდვაზე, ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;
- ზემოქმედება ისტორიულ-კულტურულ და არქეოლოგიურ ძეგლებზე;
- გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი იქნეს კულტურული მემკვიდრეობაზე ზემოქმედების შესახებ დეტალური ინფორმაცია, შესაბამისი კვლევების ანგარიში;
- გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი იქნეს დეტალური ინფორმაცია ყურძნის უნიკალურ ჯიშებზე მიკროკლიმატის ცვლილებით გამოწვეული ზემოქმედების შესახებ;
- გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილ იქნას დეტალური ინფორმაცია ფიზიკური/ეკონომიკური განსახლების შესახებ.

- ექსპლუატაციის ეტაპზე განსახორციელებელი შემარბილებელი ღონისძიებების გეგმა;
- ექსპლუატაციის ეტაპზე განსახორციელებელი მონიტორინგის გეგმა;
- ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების დეტალური გეგმა;
- სკოპინგის ეტაპზე საზოგადოების ინფორმირებისა და მის მიერ წარმოდგენილი მოსაზრებებისა და შენიშვნების შეფასება;
- გზმ-ის ფარგლებში შემუშავებული ძირითადი დასკვნები და საქმიანობის პროცესში განსახორციელებელი ძირითადი ღონისძიებები;
- ჰესის განთავსების ტერიტორიის სიტუაციური სქემა (შესაბამისი აღნიშვნებით);
- ჰესის შემადგენელი ობიექტების საპროექტო ნახაზები (ზომების მითითებით), კერძოდ: ჰესის გენ-გეგმა (ექსპლიკაციით); სათავე კვანძების გეგმა და ჭრილი; საგენერატორო შენობის გეგმა და ჭრილი; თევზსავალის გეგმა და ჭრილი; ქვესადგურის შესახებ ინფორმაცია; სადაწნეო მილსადენების ტიპური განივი კვეთი, გეგმა და ჭრილი (შესაბამისი აღნიშვნებით).

5. გზმ-ს ანგარიშში ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს:

- ჰესის ინფრასტრუქტურული ობიექტების ძირითადი ტექნიკური პარამეტრები ერთიანი ცხრილის სახით.
- ინფორმაცია სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული საკითხების შესახებ (ერთიანი ცხრილის სახით);
- აეროფოტო სურათზე (მაღალი გარჩევადობით) დატანილი საპროექტო არეალის სქემატური რუკა ბუჭდური და ელექტრონული ფორმით (A3 ფორმატი; Shape ფაილი WGS_1984_37N(38N) პროექციით) სადაც მოცემული იქნება:
- ჰესის ინფრასტრუქტურული ობიექტები (სათავე ნაგებობა, კაშხალი, სადერივაციო მილსადენი, წყალსაცავი, ჰესის შენობა, სადაწნეო მილსადენი, მისასვლელი გზები, სამშენებლო ბანაკები, სამშენებლო მოედნები, სანაყაროს ტერიტორია).
- ისტორიულად ან/და დაკვირვების შედეგად არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით მდინარის აბსოლუტური მინიმალური და მაქსიმალური ხარჯების შესახებ ინფორმაცია.
- მდინარის სიგრძე და სიგანე (როგორც საერთო ისე საპროექტო კვეთში არსებული).
- საპროექტო არეალში, როგორც დამბის ზედა ასევე მის ქვედა ბიეფში, მდინარის შენაკადების შესახებ ინფორმაცია, მანძილებისა და აღნიშნული შენაკადების მიერ გატარებული ხარჯის მითითებით.
- საქმიანობის მიმდებარე ტერიტორიაზე, მსგავსი ტიპის არსებული ან/და დაგეგმილ საქმიანობებთან კუმულაციური ზემოქმედების შეფასება, როგორც წყალზე ზემოქმედების, ასევე გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე ზემოქმედების კუთხით.
- გარემოზე შეუქცევადი ზემოქმედების შეფასებას და მისი აუცილებლობის დასაბუთებას, რაც გულისხმობს გარემოზე შეუქცევი ზემოქმედებით გამოწვეული დანაკარგისა და მიღებული სარგებლის ურთიერთშეწონას გარემოსდაცვით, კულტურულ, ეკონომიკურ და სოციალურ ჭრილში.

წარმოდგენილი სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ქვემო ნამახვანი ჰესის წყალმიმღების და ჰესის შენობის ადგილმდებარეობის ცვლილების გამო, იცვლება წყალმიმყვანი გვირაბის ღერეფანი და ჰესის შენობის მდებარეობა. აქედან გამომდინარე, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის გეოლოგიურ ნაწილში, წარმოდგენილი უნდა იყოს გვირაბის ახალი ღერეფნის და ჰესის შენობის განთავსების ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების შედეგები.

ქვემო ნამახვანი ჰესის საპროექტო ცვლილება ითვალისწინებს წყალსაცავის ნორმალური საექსპლუატაციო ღონის 1.5 მ-ით გაზრდას (ნაცვლად 310 მ-სა იქნება 311,5 მ ზღვის დონიდან). ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე იზრდება შეტბორვის არეალი და მოიცავს სოფ. ქორენიშის, სოფ. ორხვისა (ე.წ. „გონის მასივი“) და სოფ. ტვიშის ტერიტორიაზე არსებული მეწყრული ფერდობების ძირს. აღნიშნულმა ცვლილებამ შესაძლოა გამოიწვიოს წყალსაცავის კუდის ნაწილში არსებული მეწყრული სხეულების გააქტიურება. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილ გზმ-ის ანგარიშში მოცემული უნდა იყოს საპროექტო ცვლილებით გამოწვეული ზემოქმედების შესახებ ინფორმაცია, კერძოდ ახალი შეტბორვის არეალში მოქცეული მეწყრული სხეულების მდგრადობის შეფასება, შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების მითითებით.

ქვემო ნამახვანი ჰესის საპროექტო ცვლილებებით იცვლება წყალსაცავის სრული მოცულობა და სარკის ზედაპირის ფართობი, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილ გზშ-ის ანგარიში უნდა მოიცავდეს პროექტის განხორციელების არეალისა და მიმდებარე ტერიტორიების ბუნებრივ და სოციალური გარემოს ფონურ მაჩვენებლებს, რომელთა შედეგებზე დაყრდნობით უნდა მოხდეს გარემოზე შესაძლო ზემოქმედების წყაროების იდენტიფიცირება, ასევე ზემოქმედების მასშტაბების და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების განსაზღვრა. ქვემო ნამახვანი ჰესის საპროექტო ცვლილებებით აღგილი ექნება მდინარის იქთიოფაუნაზე გარკვეულ ზეგავლენას. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილ გზშ-ის ანგარიში შეფასებული უნდა იყოს იქთიოფაუნაზე როგორც პირდაპირი, ასევე ირიბი (საკვები ბაზის შემცირება) ზეგავლენა. გარემოსდაცვითი მონიტორინგის წარმოებისას გზშ-ის ანგარიში ასევე უნდა მოიცავდეს აღნიშნული იქთიოლოგიური კვლევების შესახებ ინფორმაციას ცალკე ქვეთავის სახით.

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილ გზშ-ის ანგარიშში მოცემული უნდა იყოს ქრას დაქვემდებარებული მცენარეების სახეობრივი შემადგენლობის და მახასიათებლების დეტალური კვლევა (ტაქსაცია). დოკუმენტში ასევე მოცემული უნდა იყოს ბიომრავალფეროვნებაზე პროექტის ცვლილებებით (მათ შორის შეტბორვის ტერიტორიის 10 ჰექტარით გაზრდით) გამოწვეული ზემოქმედების შესახებ ინფორმაცია.

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილ გზშ-ის ანგარიშში მოცემული უნდა იყოს, მიმყვანი გვირაბის გაყვანის შესახებ (მეთოდი) და ამ ქმედებით გამოწვეულ, ბიომრავალფეროვნებაზე შესაძლო ზემოქმედებაზე, ამ ზემოქმედების თავიდან აცილებაზე და საჭიროების შემთხვევაში საკომპენსაციო ღონისძიებებზე დეტალური ინფორმაცია.

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილ გზშ-ის ანგარიშში მოცემული უნდა იყოს ზემოაღნიშნულ კვლევებზე დაყრდნობით შემუშავებული მონიტორინგის გეგმა, სადაც აისახება პროექტის გავლენის არეალში მოხინაძრე ცხოველთა სახეობებზე (განსაკუთრებით საერთაშორისო ხელშეკრულებებით და საქართველოს „წითელი ნუსხით“ დაცულ სახეობებზე, ჰაბიტატებზე) დაკვირვების საკითხი. ასევე, მონიტორინგის გეგმაში ასახული უნდა იყოს: მონიტორინგის სიხშირის და სამინისტროსთან ანგარიშგების ცხრილი და შემარბილებელი ღონისძიებების ეფექტურობაზე დაკვირვება, საჭიროების შემთხვევაში დამატებითი შემარბილებელი და/ან საკომპენსაციო ღონისძიებების განსაზღვრა/განხორციელების მიზნით“.

მტკიცებულება - დანართი #5. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 1 ოქტომბრის N 2-943 ბრძანება;

5. ფაქტობრივი გარემოება

2019 წლის 8 ნოემბერს შპს „ენკა რენიუბილსის“ დირექტორმა მიმართა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს და მოითხოვა წარდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღება. წერილით წარდგენილი იყო:

1. მდ. რიონზე ორსაფეხურიანი ჰესების კასკადის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტში ექსპლუატაციის პირობების ცვლილების პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში;
2. არატექნიკური რეზიუმე;
3. ნამახვანის ჰესების კასკადის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროცესში ზედაპირული წყლის ობიექტში ჩამდინარე წყლებთან ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზღჩ) ნორმები;
4. მიკროკლიმატზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში;
5. ნარჩენების მართვის გეგმა;
6. ჰიდროლოგიური აღმოჩენების განახლება;

მტკიცებულება - დანართი #6. შპს „ენკა რენიუბილსის“ დირექტორის 2019 წლის 8 ნოემბრის წერილი გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს

6. ფაქტობრივი გარემოება

2019 წლის 12 ნოემბერს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა განცხადება წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, მდ. რიონზე ორსაფეხურიანი ჰესების კასკადის (ტვიში ჰესი 100 მგვტ დადგმული სიმძლავრით და ნამახვანი-ჟონეთი ჰესი - 333 მგვტ დადგმული სიმძლავრით) ექსპლუატაციის პირობების ცვლილების (ქვედა ნამახვანი) პროექტზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებისათვის ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ. განცხადების თანახმად, დაგეგმილი საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის განცხადებასთან დაკავშირებული წერილობითი შენიშვნებისა და მოსაზრებების სამინისტროსათვის წარდგენა შესაძლებელი იყო 2020 წლის 13 იანვრამდე.

მტკიცებულება: დანართი #7. - გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული განცხადება

7. ფაქტობრივი გარემოება

2019 წლის 15 ნოემბერს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა მიიღო გადაწყვეტილება შპს „ენკა რინიუებლზის“ მდ. რიონზე ორსაფეხურიანი ჰესების კასკადის (ტვიში ჰესი 100 მგვტ დადგმული სიმძლავრით და ნამახვანი-ჟონეთი ჰესი - 333 მგვტ დადგმული სიმძლავრით) მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტში ექსპლუატაციის პირობების ცვლილების (ქვედა ნამახვანი) გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშზე ექსპერტიზის ჩატარების მიზნით საექსპერტო კომისიის შექმნის შესახებ. საექსპერტო კომისიას დაევალა ექსპერტიზის დასკვნის წარდგენა ბრძანების ძალაში შესვლიდან 40 დღის ვადაში, ანუ 2020 წლის 15 იანვრამდე.

მტკიცებულება: დანართი #8 - გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 15 ნოემბრის N 2-1097 ბრძანება

8. ფაქტობრივი გარემოება

2019 წლის 20 ნოემბერს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა განცხადება დაგეგმილი საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვის შესახებ. განცხადების თანახმად, განხილვა 2019 წლის 20 დეკემბერს, 10:00 საათზე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული ერთეულის შენობაში უნდა შემდგარიყო. ასევე განცხადებაში მითითებული იყო, რომ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის განცხადებასთან დაკავშირებული წერილობითი შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენა შესაძლებელი იყო 2020 წლის 13 იანვრამდე.

მტკიცებულება: დანართი #9 - 2019 წლის 20 ნოემბერს იანვარს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული განცხადება

9. ფაქტობრივი გარემოება

2019 წლის 20 დეკემბერს 10:00 საათზე გაიმართა შპს „ენკა რინიუებლზის“ მიერ წყალტუბოსა და ცაგერის მუნიციპალიტეტებში მდ. რიონზე ორსაფეხურიანი ჰესების კასკადის (ტვიში ჰესი 100 მგვტ დადგმული სიმძლავრით და ნამახვანი-ჟონეთი ჰესი-333 მგვტ დადგმული სიმძლავრით) მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტში ექსპლუატაციის პირობების ცვლილების (ქვედა ნამახვანი) გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვის სხდომა.

სხდომის ჩატარების დროისა და ადგილის შესახებ ინფორმაცია პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მოსახლეობის დიდი ნაწილისათვის უცნობი იყო, ვინაიდან განცხადება მათთვის ხელმისაწვდომი საშუალებებით არ გავრცელებულა. სხდომა ჩატარდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული ერთეულის შენობაში. ქალაქი წყალტუბო ზემოქმედების ქვეშ მყოფი სოფლებიდან დაახლოებით 50 კმ-ითაა დაშორებული და პროექტის უშუალო ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მოსახლეობის დიდ ნაწილს სულ მცირე 2-3 საათი დასჭირდა განხილვაზე მოსახვედრად. აღსანიშნავია, რომ ამ სოფლებიდან განხილვის ადგილამდე მიმავალი საჯარო ტრანსპორტიც საკმაოდ შეზღუდულია, ამიტომ განხილვაზე მისვლა დაინტერესებული საზოგადოების ძალზე მცირე ნაწილმა შესძლო. აღნიშნულთან დაკავშირებით არასამთავრობო ორგანიზაციებმა - მწვანე ალტერნატივამ, საქართველოს

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ და ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრმა (EMC) ერთობლივი განცხადებაც გაავრცელეს. სამინისტროს განმარტებისათვის სახალხო დამცველის აპარატმა მიმართა. ასევე, განხილვის დარღვევებით ჩატარების გამო, ახალი განხილვის მოთხოვნით სამინისტროს საჩივრით ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელი ტვიშის მაცხოვრებელმა მიმართა.

საჯარო განხილვის დარღვევებით ჩატარებასთან დაკავშირებით სამინისტროს პოზიციის თანახმად, კანონდარღვევას ადგილი არ ჰქონია და განხილვის ხელახლა ჩატარების აუცილებლობაც არ არსებობდა.

მტკიცებულება: დანართი #10 - საჯარო განხილვის ოქმი და აუდიო ჩანაწერი; დანართი #11 - არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადება, სახალხო დამცველის მიმართვა, ტვიშის მაცხოვრებლის საჩივარი, სამინისტროს პასუხი სახალხო დამცველს, სამინისტროს პასუხი მოქალაქეს

10. ფაქტობრივი გარემოება

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 15 ნოემბრის N 2-1097 ბრძანებით შექმნილი საექსპერტო კომისიის წევრებმა ეკოლოგიური ექსპერტიზის პროცესში მოამზადეს დასკვნები, რომლებიც განსახილველი დოკუმენტაციის არაერთ მნიშვნელოვან ნაკლოვანებაზე და ცალკეული საკითხების არასათანადო შესწავლაზე მიუთითებდა.

მტკიცებულება: დანართი #12 – ეკოლოგიური ექსპერტიზისათვის შექმნილი კომისიის წევრების მიერ მომზადებული დასკვნები

11. ფაქტობრივი გარემოება

2020 წლის 27 იანვარს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა განცხადება სათაურით „წყალტუბოსა და ცაგერის მუნიციპალიტეტებში, მდ. რიონზე ორსაფეხურიანი ჰესების კასკადის (ტვიში ჰესი 100 მგვტ დადგმული სიმძლავრით და ნამახვანი-ჟონეთი ჰესი-333 მგვტ დადგმული სიმძლავრით) მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტში ექსპლუატაციის პირობების ცვლილების (ქვედა ნამახვანი) პროექტი“. განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ „სამინისტრომ პროექტთან დაკავშირებული გარკვეული საკითხების დაზუსტების მიზნით მიიღო გადაწყვეტილება ადმინისტრაციული წარმოების შეჩერების შესახებ. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოება განახლდება აღნიშნული შენიშვნების სრულად გათვალისწინების და დამატებითი ინფორმაციის სამინისტროში წარმოდგენის შემდგომ“.

განცხადებას თარ ერთვოდა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილის ნინო თანდილაშვილის 2020 წლის 21 იანვრის N 729/01 წერილი შპს „ენკა რინიუებლზს“, რომელშიც აღნიშნული იყო: „წარმოდგენილ გზშ-ის ანგარიშში პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული გარკვეული საკითხები საჭიროებს დაზუსტებას და შესაბამისი ინფორმაციის დამატებით წარმოდგენას, კერძოდ:

- გზშ-ს ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია კურორტ წყალტუბოს ტერიტორიაზე არსებულ თერმულ წყლებთან საპროექტო ჰესის დაშორების შესახებ, მიუხედავად აღნიშნულისა წარმოდგენილი უნდა იყოს დეტალური დასაბუთება, რომ საპროექტო ჰესის მშენებლობა და ექსპლუატაცია არ გამოიწვევს კურორტ წყალტუბოზე და თერმულ წყლებზე ზემოქმედებას.
- გზშ-ის ანგარიშში მითითებულია, რომ „წყალსაცემი ჭის წარეცხვა გავლენას არ მოახდენს კამხლის კონსტრუქციის მდგრადობაზე. წყალსაცემი ჭის თავზე ფერდობები გამაგრდება სამშენებლო სამუშაოების ფარგლებში მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით 100 წლიანი განმეორებადობის წყალდიდობის პირობებისთვის.“ აღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტროში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია კამხლის მდგრადობის (მათ შორის ფიზიკური და მათემატიკური მოდელირება) შეფასებასთან და მიღებულ შედეგებთან დაკავშირებით.
- გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილია თავი 5.2.2.2.4 „თანამედროვე ფიზიკურ-გეოლოგიური პროცესები და სეისმურობა“, სადაც ისევე როგორც ანგარიშის სხვადასხვა გვერდებზე მოცემულია ინფორმაცია სეისმურ

საკითხებთან დაკავშირებით. მიუხედავად აღნიშნულისა, დამატებით წარმოდგენილი უნდა იქნეს ერთიანი დოკუმენტი/ინფორმაცია სეისმოლოგიურ კვლევასთან, რისკებთან და მიღებულ შედეგებთან დაკავშირებით.

- დეტალურად უნდა იყოს წარმოდგენილი ინფორმაცია ქ. ფოთში ე.წ. „დიდი კუნძულის“ ნაპირდაცვითი ღონისძიებების პროექტის შესახებ;
- წარმოდგენილი უნდა იყოს სატრანსპორტო სქემა სამშენებლო მასალებისა და ტექნოლოგიური მოწყობილობების შეუფერხებელი მიწოდებისათვის;
- წარმოდგენილი უნდა იყოს საპროექტო ნამახვანი ჰესის წყალსაცავის გარეცხვის პერიოდულობა და სიღრმული წყალსაგდებების მუშაობის რეჟიმის შესახებ ინფორმაცია;
- წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია სიღრმული წყალსაგდებებით გატარებული ნაკადის ენერჯის ჩაქრობის პირობების შესახებ (ანგარიშში მხოლოდ ზედაპირული წყალსაგდებების წყალსაცემი ნაგებობებია აღწერილი);
- წარმოდგენილი უნდა იყოს სადერივაციო-სადაწნეო გვირაბიდან ფილტრაციული წყლების მონიტორინგის სისტემის პროექტი და პროგრამა.
- წარმოდგენილი უნდა იყოს სატურბინე ზეთების წყალში ავარიული ჩაღვრის პრევენციული და სალიკვიდაციო დეტალური ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია.
- წარმოდგენილი ეკოლოგიური ხარჯის სიდიდე (16მ³/წმ) მოითხოვს დეტალურ დასაბუთებას ქ. ქუთაისის ფარგლებში მდ. რიონის მინიმალური სანიტარული (ზღჩ გაზავების) ნორმის გათვალისწინებით.
- გზმ-ის ანგარიშში მოცემული ინფორმაცია საჭიროებს დეტალურ დასაბუთებას, კაშხლის საფუძველის 3 მ-ით დაღრმავებით როგორ იზრდება კაშხლის სიმაღლე 6მ-ით, ხოლო წყალსაცავის საერთო მოცულობა 13,1 მლნ მ3-ით. ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს წყალსაცავის სიგრძე და სიგანე;
- გზმ-ის ანგარიშში მოცემული ინფორმაცია, კაშხლის თხემის შემადგენელი ნორმალური შეტბორვის დონიდან მოითხოვს სათანადო დასაბუთებას წყალსაცავში წარმოქმნილი ტალღის სიმაღლის შესაბამისად.
- წარმოდგენილი უნდა იყოს მინიმალური ჩამონადენის შესახებ ინფორმაცია;
- დეტალურად უნდა იყოს მოცემული ინფორმაცია თვის საშუალო ხარჯებიდან როგორ ხდება გადასვლა 50 %-იანი უზრუნველყოფის ხარჯებზე, ასევე წლიურის შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია თვეების მიხედვით. მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია 10%-იანი (უზვწყლიანი) და 90% (მცირეწყლიანი) უზრუნველყოფის მონაცემები თვეების მიხედვით.
- გზმ-ის ანგარიშში (გვ.178) მოცემულია ინფორმაცია, რომ „საპროექტო წყალდიდობის მაჩვენებლების ასარჩევად გათვალისწინებული იქნა ადგილობრივი წყალდიდობის ანალიზი, რომელიც ჩატარდა 70 წლიანი ხარჯის მონაცემთა რიგებით, ამიტომ ის უფრო საიმედოდ ჩაითვალა. წყალდიდობის მაქსიმალური მაჩვენებლები მიღებულია ჩამონადენი-ნალექის მოდელისაგან“. წარმოდგენილი უნდა იყოს დეტალური ინფორმაცია საპროექტო და სავარაუდო წყალდიდობების განსხვავების შესახებ, ასევე მეთოდის შესახებ, რომლის მიხედვით იქნა დადგენილი ხარჯის საბოლოო სიდიდე 4900 მ3/წმ-ში და ეს სიდიდე რამდენწლიანი განმეორებადობის მაჩვენებელია. დაზუსტება/კორექტირებას საჭიროებს რეგიონულ და ადგილობრივ წყალდიდობებს შორის განსხვავება.
- გზმ-ის ანგარიშში მოცემული ინფორმაციით „საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის ჩატარება, რომელიც ითვალისწინებდა ტერიტორიის ამგები ქანების შესწავლის მიზნით ჭაბურღილების გაყვანას შესაძლებელი იყო მხოლოდ ჰესის შენობისთვის და ქვესადგურისთვის შერჩეულ ტერიტორიაზე“ რის გამოც „გვირაბის და წყალმიმღების განთავსების ტერიტორიის ამგები ქანების დასახასიათებლად გამოყენებული იქნა ანალოგის მეთოდი“. წარმოდგენილი უნდა იყოს „გვირაბის და წყალმიმღების განთავსების ტერიტორიის ამგები ქანების „საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები“.
- გზმ-ის ანგარიშში მოცემული ინფორმაციით, „სადაც გვირაბის ტრასა გადაკვეთს ნამახვანის ანტიკლინის თაღურ ნაწილს და ტექტონიკურ რღვევებს, მოსალოდნელია სამთო წნევების ზრდა, რის გამოც ჩასატარებელი იქნება შესაბამისი გამაგრებითი სამუშაოები, რომელთან მიმართებაშიც აუცილებელია სადერივაციო გვირაბის საინჟინრო-გეოლოგიურ-გეოტექნიკური კვლევა“. აღნიშნულის გათვალისწინებით წარმოდგენილი უნდა იყოს აღნიშნული ობიექტების საინჟინრო-გეოლოგიურ-გეოტექნიკური კვლევის შედეგები.

- გზმ-ის ანგარიშში მოცემული ინფორმაციით, N6 და N12 მეწყერი ვიზუალური და გეოფიზიკური კვლევის საფუძველზე იდენტიფიცირებულია როგორც „მიძინებული“, წყალსაცავის მიზეზით შესაძლო გააქტიურების საფრთხე კი შეფასებულია როგორც დაბალი. ვინაიდან, უცნობი რჩება ცოცვის სიბრტყის სიდრმითი მდებარეობა მეწყრის სხვადასხვა უბანზე (მეწყრის სიმძლავრე), მიწისქვეშა წყლების სარკის დონე, გრუნტის კონსისტენცია, და სხვა საჭიროა კვლევის შედეგებზე დაყრდნობით მომზადებული დეტალური ინფორმაციის სამინისტროში წარმოდგენა.
- წარმოდგენილი უნდა იყოს სანაყაროების მოწყობის პროექტები, განსათავსებელი გრუნტების (ფუჭი ქანის) სავარაუდო მოცულობები და სანაყაროების კონტურის კოორდინატები, რის საფუძველზეც შესაძლებელი იქნება მათი მდგრადობის და გეოდინამიკური პროცესების შესაძლო პროვოცირების შეფასება.
- წარმოდგენილი უნდა იყოს დეტალური იქთიოლოგიური კვლევები. ამასთან მოცემული არ არის იქთიოლოგიური კვლევის სადგურების დეტალური რუკა (კოორდინატების მითითებით) და განხორციელებული კვლევების მასშტაბი. შეფასებული და წარმოდგენილი უნდა იყოს მდინარის საპროექტო მონაკვეთში თევზის ბიომასის შესახებ ინფორმაცია.
- წარმოდგენილი უნდა იყოს დეტალური ინფორმაცია ჰესების წყალსაცავიდან ნატანის ჩარეცხვის ოპერაციების დაგეგმვის შესახებ, სხვა ჰესების ანალოგიური ოპერაციების სიხშირის და იქთიოლოგიური მონიტორინგის შედეგების გათვალისწინებით, რათა მინიმუმამდე იქნას დაყვანილი ამ სამუშაოთა ნეგატიური ზეგავლენის დონე იქთიოფაუნაზე. კერძოდ, შერჩეული იქნას პერიოდი, როდესაც თევზი არ ქვირითობს და ამასთან წყლის გაშვება განხორციელდეს კონტროლირებად პირობებში, რათა გადაჭარბებული რაოდენობის დანალექებით ნიაღვრის წარმოქმნის პირობებში არ მოხდეს თევზის მექანიკური „ჩარეცხვა“.
- წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია აბორიგენული სახეობებით დათევზიანების სამუშაოების შესახებ. მიზანშეწონილია დათევზიანების ღონისძიებები განხორციელდეს მდინარის სხვა ანთროპოგენული ზეგავლენისაგან უფრო დაცულ მონაკვეთებზე.
- წარმოდგენილ ინფორმაციას თან უნდა დაერთოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დასკვნა საპროექტო ჰესის კულტურული მემკვიდრეობის და არქეოლოგიურ ძეგლებზე ზემოქმედებასთან დაკავშირებით.

გზმ-ის ანგარიში და თანდართული დოკუმენტაცია მოიცავს ტერმინოლოგიურ უზუსტობებს, მაგ: „ხარჯის მრუდის მეთოდის ირიბი ცდომილება (გვ.134), იმპლიციტური ცდომილება (გვ. 137), ნახაზის სათაური „წყლის 50 %-იანი უზრუნველყოფის საშუალო რესურსის წლიური განაწილება“, „დაბრუნების პერიოდი“ (გვ. 149) და ა.შ.

ჰიდროლოგიის ტომი, წარმოადგენს ნათარგმნ დოკუმენტს, სადაც დასაზუსტებელია ბევრი ტერმინოლოგიური საკითხი, დაულაგებელია წინადადებები, მაგ: „ჰიდროლოგიური აღმოჩენების განახლება“, „ჰიდროლოგიური დროითი მწკრივი“, „წლიური მაქსიმალური ხარჯების ამონაკრები“, „ჰიდროლოგიური ქვევა“ „დროთა სერიები“, „მდინარე რიონის წყალგამყოფი მთლიანია და ნაწილობრივ დაფარულია მყინვარის მიერ“, რაც საჭიროებს დაზუსტება/კორექტირებას.

ტერმინოლოგიური უზუსტობების გარდა ანგარიში მოიცავს მექანიკურ შეცდომებს, მაგ: N17 სურათი („მეწყერები ქვემო ნამახვანის ჰესის პროექტის წყალსაცავში თეორიული ასპექტები და პრაქტიკული მნიშვნელობა (გარდა N6 მეწყრისა),“ გამოსახულებაზე მოცემულია რიონის ხეობის მარცხენა ფერდობი (N12 მეწყრის დაბოლოება), რომელიც შეცდომით მიჩნეულია მარჯვენა ფერდობად, რაც საჭიროებს დაზუსტება/კორექტირებას.

გზმ-ის ანგარიშში მოცემულია ინფორმაცია, რომ მოქმედი და სტაბილური მეწყერული კერები განთავსებულია მდ. ტვიშის მარჯვენა ფერდობზე. მდინარის სახელწოდება საჭიროებს დაზუსტება/კორექტირებას.

გზმ-ის ანგარიშში მდ. რიონის თევზების სახეობათა ჩამონათვალში (ლიტერატურული მონაცემებით) მოცემულია ისეთი თევზის სახეობები, რომლებიც ისტორიულად მდინარის ამ მონაკვეთზე არ ყოფილა და ფიზიკურად ვერც იქნებოდა, რაც საჭიროებს დაზუსტება/კორექტირებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სამინისტრო აჩერებს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის მიზნით დაწყებულ ადმინისტრაციულ წარმოებას წყალტუბოსა და ცაგერის მუნიციპალიტეტებში, მდ. რიონზე ორსაფეხურიანი ჰესების კასკადის (ტვიში ჰესი 100 მგვტ დადგმული სიმძლავრით და ნამახვანი-ჟონეთი ჰესი-333 მგვტ დადგმული სიმძლავრით) მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტში ექსპლუატაციის პირობების ცვლილების (ქვედა ნამახვანი) პროექტზე. გთხოვთ უზრუნველყოთ შენიშვნების შესაბამისად დაზუსტებული ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარმოდგენა სამინისტროში. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოება განახლდება აღნიშნული შენიშვნების სრულად გათვალისწინების და დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენის შემდგომ.

დამატებით გაცნობებთ, რომ ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში წარმოდგენილია Flora and Fauna International-ის კავკასიის პროგრამის კონსერვაციის ოფიცერის მიხეილ ფოცნიშვილის და არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანეთა მოძრაობა დედამიწის მეგობრების“ შენიშვნები ნამახვანის ჰიდროელექტროსადგურის პროექტთან დაკავშირებით. გიგზავნით აღნიშნულ კორესპონდენციას/შენიშვნებს და გთხოვთ გვაცნობოთ თქვენი მოსაზრებები/კვლევები და დასაბუთება წერილში მითითებულ საკითხებთან დაკავშირებით“.

მტკიცებულება: დანართი #13- 2020 წლის 27 იანვარს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული განცხადება და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილის ნინო თანდილაშვილის 2020 წლის 21 იანვრის N 729/01 წერილი შპს „ენკა რინიუებლზს“.

12. ფაქტობრივი გარემოება

2020 წლის 30 იანვარს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა განცხადება დამატებითი ინფორმაციის წარდგენის შესახებ, რომელშიც აღნიშნული იყო: „გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2020 წლის 21 იანვრის N729/01 წერილის პასუხად მდ. რიონზე ორსაფეხურიანი ჰესების კასკადის (ტვიში ჰესი 100 მგვტ დადგმული სიმძლავრით და ნამახვანი-ჟონეთი ჰესი - 333 მგვტ დადგმული სიმძლავრით) ექსპლუატაციის პირობების ცვლილების (ქვედა ნამახვანი) პროექტზე შპს „ენკა რინიუებლზის“ მიერ წარმოდგენილი იქნა დამატებითი ინფორმაცია და თანდართული დოკუმენტაცია (იხ. დანართი 1,2, 3, 4, 5, 6,7,8,9,10,11,12,13,14,15). ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით დამატებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ წარუდგინოთ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2020 წლის 15 თებერვლამდე“. შპს „ენკა რინიუებლზი“ თავის წერილში შეეცადა ეჭვის ქვეშ დაეყენებინა სამინისტროს შენიშვნების/კითხვების საჭიროება, თუმცა გარკვეული დამატებითი დოკუმენტაცია მაინც წარადგინა.

მტკიცებულება: დანართი #14. - 2020 წლის 30 იანვარს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული განცხადება და დანართი #15. - განცხადებით გამოქვეყნებული შპს „ენკა რინიუებლზის“ 2020 წლის 27 იანვრის წერილი თანდართული დოკუმენტაციით

13. ფაქტობრივი გარემოება

2020 წლის 4 თებერვალს გარემოსა დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა 2019 წლის 15 ნოემბრის N 2-1097 ბრძანებით შექმნილ საექსპერტო კომისიას ვადა გაუგრძელა და დაავალა შპს „ენკა რინიუებლზის“ მიერ დამატებით წარდგენილი ინფორმაციის/დოკუმენტაციის განხილვა და ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენა 2020 წლის 15 თებერვლამდე.

მტკიცებულება: დანართი #16 - გარემოსა დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 4 თებერვლის N 2-105 ბრძანება

14. ფაქტობრივი გარემოება

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2019 წლის 17 დეკემბრის მიმართვის საფუძველზე სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითმა ცენტრმა მოამზადა მდ. რიონზე ჰიდროელექტროსადგურების კასკადის (ტვიში ჰესი-100 მგვტ, ნამახვანი ჰესი-333 მგვტ) მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის მიკროკლიმატზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის ანალიზი.

ცენტრის მიერ მომზადებული დასკვნის თანახმად, „მიკროკლიმატზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში კლიმატის შეფასებისას გამოყენებულია MeteoBlue კლიმატური მოდელიდან მიღებული მონაცემები და არ ეფუძნება მეტეოსადგურის რეალურ მონაცემებს. MeteoBlue კლიმატური მოდელის ერთეული პიქსელის ზომა ევროპის მასშტაბით 12 კმ, ხოლო სიმაღლეში 180 მ-ს შეადგენს (<https://content.meteoblue.com/nl/specifications/data-sources/weather-simulation-data/meteobluemodels>). შესაბამისად, მსგავსი მოდელი შესაძლებელია ზუსტად ვერ ასახავდეს საპროექტო ტერიტორიის ფარგლებში არსებულ ცვლილებებს, რომელიც განპირობებულია რელიეფის თავისებურებებით და სიმაღლეთა სხვაობით“.

ასევე, დასკვნის თანახმად, „პოლონეთში ჩატარებული კვლევებით (Wiejaczka, Łukasz & Kijowska-Strugała, Małgorzata. (2016). EFFECT OF A RESERVOIR OPERATION ON RELATIONS BETWEEN RIVER WATER TEMPERATURE AND AIR TEMPERATURE. 73-80. 10.18509/GBP.2016.10.) დადგინდა, რომ ზაფხულის პერიოდში წყალსაცავიდან, რომლის საშუალო სიღრმე 30 მ-ია, გამომავალი წყლის ტემპერატურა 10 გრადუსით დაბალია წყალსაცავში შემომავალი წყლის ტემპერატურაზე, ხოლო ზამთარში, პირიქით, წყალსაცავიდან გამომავალი წყალი უფრო თბილია, ვიდრე წყალსაცავში შემავალი წყალი.

ანალოგიური შედეგებია მიღებული აშშ-ში მდ. კოლორადოზე მოწყობილი გლენ კანიონის კაშხლის ექსპლუატაციის შედეგად (Effects of the Glen Canyon Dam on Colorado River Temperature Dynamics. University of California, Davis, 2016), რომლის ბუნებრივი ტემპერატურა წლის განმავლობაში 0-დან 30 გრადუსამდე მერყეობდა, თუმცა კაშხლის აშენების შემდეგ მის ქვედა დინებაში წყლის ტემპერატურა 7-დან 14 გრადუსამდე მერყეობს, რაც განპირობებულია წყალგამშვების დაბალ ნიშნულზე განთავსებით, რაც წლის თბილ პერიოდში იწვევს შედარებით ცივი წყლის გამოშვებას, ხოლო წლის ცივ პერიოდში, პირიქით, შედარებით თბილი წყლის მოხვედრას მდინარის ქვედა დინებაში.

წყლის ტემპერატურის მსგავსმა ცვლილებამ შესაძლებელია იმოქმედოს მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ ტენის და ტემპერატურის სეზონურ და/ან დღეღამურ რეჟიმზე“.

მტკიცებულება: დანართი #17 - გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2019 წლის 17 დეკემბრის N12601/01 წერილი და სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითმა ცენტრის მომზადებული ანალიზი

15. ფაქტობრივი გარემოება

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2019 წლის 12 დეკემბრის მიმართვის პასუხად სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოს წერილში აღნიშნულია „შპს „ენკა რინიუებლზის“ მიერ წარმოდგენილი კვლევების თანახმად, ჰესის მშენებლობა მოცემული ადგილის კლიმატის მნიშვნელოვან ცვლილებებს არ გამოიწვევს (ცხრილი 1.13, გვერდი 36) და აქედან გამომდინარე შესაძლებელია, დასაშვებად მიჩნეულ იქნას, რომ, აღნიშნული ობიექტი წარმოებული ღვინის ხარისხზე ნეგატიურად არ იმოქმედებს. თუმცა ნიშანდობლივია, რომ წერილში წამოჭრილი საკითხი - ჰესების მოწყობის შედეგად კლიმატის სავარაუდო გავლენა მოცემული მიკროზონის ყურძნისა და ღვინის ხარისხზე - მოითხოვს ღრმა ანალიზს, მიეკუთვნება სამეცნიერო სფეროს და გარკვეულწილად სცილდება სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოს კომპეტენციის ფარგლებს. მიგვაჩნია, რომ იგი უნდა გადაწყდეს მხოლოდ შესაბამისი კომპეტენტური კვლევითი დაწესებულების მიერ გაცემული დასკვნის საფუძველზე, რომელიც დაფუძნებული იქნება, როგორც კლიმატის, ასევე ყურძნისა და წარმოებული ღვინის პარამეტრების კომპლექსურ შეფასებასა და ანალიზზე“.

მტკიცებულება: დანართი #18 - გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2019 წლის 12 დეკემბრის N12420/01 წერილი და სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოს 2020 წლის 14 იანვრის N 03/18 წერილი

16. ფაქტობრივი გარემოება

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 15 ნოემბრის N 2-1097 ბრძანებით შექმნილი საექსპერტო კომისიის წევრებმა მინისტრის 2020 წლის 4 თებერვლის N2-105 ბრძანების შესაბამისად, განიხილეს შპს „ენკა რინიუებლზის“ მიერ დამატებით წარდგენილი ინფორმაცია/დოკუმენტაცია და ხელახლა მოამზადეს დასკვნები, რომლებიც კვლავ განსახილველი დოკუმენტაციის არაერთ მნიშვნელოვან ნაკლოვანებაზე და ცალკეული საკითხების არასათანადო შესწავლაზე მიუთითებდა. მიუხედავად ამისა, ამ ეტაპზე კომისიის ერთობლივი გადაწყვეტილების თანახმად, გადაწყდა, რომ შესაძლებელი იყო დადებითი ეკოლოგიური დასკვნის წინასწარ გაცემა და სავალდებულო დოკუმენტაციის შემდგომ წარმოდგენის დავალდებულება.

მტკიცებულება: დანართი #19 - ექსპერტების ცალკეული დასკვნები და კომისიის კრებისთი დასკვნა

17. ფაქტობრივი გარემოება

2020 წლის 28 თებერვალს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა მიიღო გადაწყვეტილება წყალტუბოსა და ცაგერის მუნიციპალიტეტებში, შპს „ენკა რინიუებლზის“ მდ. რიონზე ორსაფეხურიანი ჰესების კასკადის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტში ექსპლუატაციის პირობების ცვლილებებზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ. ბრძანებით შპს „ენკა რინიუებლზს“ პოსტ ფაქტუმ დაევალა იმ ინფორმაციის წარდგენა, რომელიც კანონის თანახმად, გადაწყვეტილების მიღების ეტაპზე უნდა განხილულიყო:

„5. შპს „ენკა რინიუებლზმა“ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან 20 თვის ვადაში უზრუნველყოს ფოტოში ე.წ. „დიდი კუნძულის“ ნაპირის ფორმირების დინამიკის კვლევა, განიხილოს ნაპირდაცვითი/საინჟინრო და საკომპენსაციო ღონისძიებები შესაბამისი უწყებების/ორგანიზაციების ჩართულობით და შესაბამისი კვლევის შედეგები, არსებული კვლევების გათვალისწინებით წარმოადგინოს სამინისტროში შესათანხმებლად.

6. შპს „ენკა რინიუებლზის“ მიერ მშენებლობის დაწყებამდე სამინისტროში წარმოდგენილ იქნეს შესაბამისი უწყებებთან შეთანხმებული მშენებლობის სატრანსპორტო სქემა ქ. ქუთაისის შემოვლით.

7. შპს „ენკა რინიუებლზის“ მიერ კაშხლის მშენებლობის დაწყებამდე წარმოდგენილ იქნეს სიდრმული წყალსაგდებებით გატარებული ნაკადის ენერჯის ჩაქრობის პირობები.

8. შპს „ენკა რინიუებლზის“ მიერ გვირაბის მშენებლობის დაწყებამდე წარმოდგენილ იქნეს ექსპლუატაციის პერიოდში სადერივაციო-სადაწნეო გვირაბიდან ფილტრაციული წყლების მონიტორინგის სისტემის პროექტი და პროგრამა.

9. შპს „ენკა რინიუებლზის“ მიერ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან ორი თვის ვადაში წარმოდგენილ იქნეს სატურბინე ზეთების წყალში ავარიული ჩაღვრის პრევენციული და სალიკვიდაციო ღონისძიებების ჩასატარებელი სამუშაოებისათვის საჭირო ინვენტარისა და მოწყობილობების ჩამონათვალი.

10. შპს „ენკა რინიუებლზის“ მიერ კაშხლის მშენებლობის დაწყებამდე სამინისტროში წარმოდგენილ იქნეს წყალსაცავში წყალდიდობის ტრანსფორმირების პირობები და ქვემო ბიეფში წყალგამშვების რეჟიმები (რაოდენობა, პერიოდულობა) მდ. რიონის ქვედა დინებაში არსებული ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმების გათვალისწინებით.

11. შპს „ენკა რინიუებლზმა“ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან 2 თვის ვადაში უზრუნველყოს წყალსაცავის შევსების (პირველი შევსების) გრაფიკის სამინისტროში შესათანხმებლად წარმოდგენა ქვედა ბიეფში წყალგამშვების ოდენობის მითითებით.

12. შპს „ენკა რინიუებლზმა“ მშენებლობის დაწყებამდე და მშენებლობა-ექსპლუატაციის ეტაპზე უზრუნველყოს ჰესის ინფრასტრუქტურული ობიექტების განლაგების და მათ მიმდებარედ არსებულ მეწყერულ უბნებზე პერიოდული ვიზუალური მონიტორინგის წარმოება (განსაკუთრებით წყალსაცავის მდგრადობაზე მათი გავლენის კონტროლის მიზნით) და მიღებული შედეგების 6 თვეში ერთხელ სამინისტროში განსახილველად წარმოდგენა.

13. შპს „ენკა რინიუებლზმა“ უზრუნველყოს N6 მეწყერზე (გონის მასივი) ინსტრუმენტული მონიტორინგის სისტემის მოწყობა და ამ მიზნით შესაბამისი წინასწარი კვლევების ჩატარება და შედეგების სამინისტროში წარმოდგენა.

აღნიშნული კვლევების განხორციელება დასაშვებია ჰესის მშენებლობის პარალელურად, ხოლო მონიტორინგის სისტემის ინსტალაცია უზრუნველყოფილი უნდა იქნას წყალსაცავის ექსპლუატაციაში შესვლამდე. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მეწყრულ სხეულზე გათვალისწინებულია პიეზომეტრების და ინკლინომეტრების მოწყობა (რისთვისაც საჭირო გახდება ჭაბურღილების გაყვანა), მეწყრული სხეულის სიმძლავრის (ცოცვის სიბრტყე ან შესუსტების ზონის მდებარეობა სიდრემში) დადგენის მიზნით, უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ჭაბურღილების გაყვანის შედეგად მიღებული ინფორმაციის სამინისტროში შესათანხმებლად წარმოდგენა.

14. შპს „ენკა რინიუებლზმა“ უზრუნველყოს როგორც სადერივაციო, ასევე მიმყვანი გვირაბის მარშრუტის დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა (გვირაბის მშენებლობის პარალელურად) და შედეგების წარმოდგენა სამინისტროში.

15. შპს „ენკა რინიუებლზმა“ უზრუნველყოს დეტალური მონიტორინგის გეგმის სამინისტროში შესათანხმებლად წარმოდგენა, სადაც გათვალისწინებული იქნება მონიტორინგის სისტემის შექმნა მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი ემისიების და მტვრის გავრცელებაზე. საჭიროების შემთხვევაში, შემუშავდეს დამატებითი შემარბილებელი ღონისძიებები და შეთანხმდეს სამინისტროსთან.

16. შპს „ენკა რინიუებლზმა“ უზრუნველყოს საპროექტო ტერიტორიაზე არსებული წყაროების ჰიდროგეოლოგიური მონიტორინგის შედეგების წარმოდგენა სამინისტროში (წელიწადში ერთხელ). განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს დასახლებული პუნქტების წყალმომარაგების ობიექტებზე და ჰესის ინფრასტრუქტურის ზეგავლენით მათი დებიტის შესაძლო შემცირების, ან დაკარგვის შემთხვევაში, უნდა განხორციელდეს მოსახლეობის უზრუნველყოფა ალტერნატიული წყალმომარაგებით.

17. შპს „ენკა რინიუებლზმა“ ჰესის ექსპლუატაციაში შესვლამდე სამინისტროში წარმოადგინოს მდ. რიონზე არსებულ ჰესებთან შეთანხმებით, დამატებით დეტალურ კვლევებზე დაყრდნობით მომზადებული ინფორმაცია ჰესების ოპერირებით გამოწვეული მდ. რიონის წყლის რეჟიმის ცვლილებისა და მომატებული სიმღვრივის ზემოქმედებასთან დაკავშირებით, სადაც აისახება ჰესების ოპერირებით გამოწვეული ზემოქმედების, ამ ზემოქმედების თავიდან აცილების და საჭიროების შემთხვევაში საკომპენსაციო ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია წყლის ბიომრავალფეროვნებასთან მიმართებით.

18. ზუთხების და წყლის ბიომრავალფეროვნებაზე დამატებითი კვლევების შედეგების გათვალისწინებით წყალსაცავების გარეცხვის რეჟიმი და პერიოდულობა უნდა შეთანხმდეს შპს „ენკა რინიუებლზსა“ და ზედა და ქვედა ბიეფში არსებული ჰესების ოპერატორებს შორის. შპს „ენკა რინიუებლზმა“ თითოეული გარეცხვის წინ უზრუნველყოს სამინისტროს წინასწარი ინფორმირება გაშვებული წყლის ხარჯის მითითებით.

20. შპს „ენკა რინიუებლზმა“ უზრუნველყოს დამატებითი იქთიოლოგიური კვლევების წარმოება სეზონურად რაოდენობრივი ცვლილების დინამიკის შეფასებით, როგორც ჰესის მშენებლობამდე, ასევე ოპერირების პერიოდში და შედეგების სამინისტროში განსახილველად წარმოდგენა.

21. შპს „ენკა რინიუებლზმა“ უზრუნველყოს მდინარის წყლის ტემპერატურის მონიტორინგი წყალსაცავამდე, წყალსაცავის ზედაპირზე და სიდრემში, კაშხლიდან გამომავალი წყლის ტემპერატურაზე უშუალოდ კაშხალთან და კაშხლის ქვედა დინებაში. წყლის ტემპერატურის მონიტორინგის სისტემა, ანგარიშგების ფორმა და სიხშირე შეთანხმდეს სამინისტროსთან.

22. შპს „ენკა რინიუებლზმა“ აგრომეტეოროლოგიური სადგურების მეშვეობით უზრუნველყოს ჰაერის და ნიადაგის ტემპერატურასა და ტენიანობაზე მუდმივი მონიტორინგი, ისევე როგორც ქარის სიჩქარეზე, მზის რადიაციასა და სხვა მეტეოროლოგიურ პარამეტრებზე. აგრომეტეოროლოგიური სადგურების ტიპი, განთავსების ადგილი, მონაცემთა შეგროვების სიხშირე და შედეგების წარმოდგენის პერიოდულობა შეთანხმდეს სამინისტროსთან. მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოს დამატებითი შემარბილებელი/საკომპენსაციო ღონისძიებების სამინისტროსთან შესათანხმებლად წარმოდგენა.

23. შპს „ენკა რინიუებლზმა“ მონაცემების შედარების უზრუნველსაყოფად და სათანადო შემარბილებელი ან/და საკომპენსაციო ღონისძიებების გატარების მიზნით, გზშ-ის ანგარიშით გათვალისწინებული ტვიშის ზონაში წარმოებული ყურძნის და ღვინის ხარისხობრივ მახასიათებლებზე მონიტორინგის განხორციელება უზრუნველყოს

მშენებლობის დაწყებამდე და გაგრძელდეს ჰესის ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგ. აღნიშნული შემარბილებელი ან/და საკომპენსაციო ღონისძიებები შეთანხმდეს სამინისტროსთან.

24. შპს „ენკა რინიუებლზმა“ მშენებლობის დაწყებამდე უზრუნველყოს ჰესის სათავე ნაგებობასთან ღონემზომის განთავსება, ხოლო ექსპლუატაციის დაწყებიდან ერთი წლის ვადაში უზრუნველყოს მდინარის ხარჯის კვარტალში ერთხელ განსაზღვრა და ინფორმაციის სამინისტროში წარმოდგენა. ექსპლუატაციაში გასვლიდან ერთი წლის შემდეგ, მთელი ექსპლუატაციის პერიოდში განახორციელოს მდინარის ყოველდღიური ხარჯის განსაზღვრა და შედეგების 3 თვეში ერთხელ სამინისტროში წარმოდგენა.

25. შპს „ენკა რინიუებლზმა“ მშენებლობის დაწყებამდე უზრუნველყოს ფუჭი ქანების სანაყაროს პროექტების სამინისტროში შესათანხმებლად წარმოდგენა shape ფაილებთან ერთად.

26. შპს „ენკა რინიუებლზმა“ მშენებლობის დაწყებამდე უზრუნველყოს სამშენებლო მოედნების/ბანაკების პროექტების სამინისტროში შესათანხმებლად წარმოდგენა shape ფაილებთან ერთად.

28. შპს „ენკა რინიუებლზმა“ მშენებლობის დაწყებამდე უზრუნველყოს ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავება და სამინისტროსთან შეთანხმება საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 4 აგვისტოს N211 ბრძანების შესაბამისად“.

მტკიცებულება: დანართი #20 - „წყალტუბოსა და ცაგერის მუნიციპალიტეტებში, შპს „ენკა რინიუებლზის“ მდ. რიონზე ორსაფეხურიანი ჰესების კასკადის (ტვიში ჰესი 100 მგვტ დადგმული სიმძლავრით და ნამახვანი-ჟონეთი ჰესი - 333 მგვტ დადგმული სიმძლავრით) მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტში ექსპლუატაციის პირობების ცვლილებებზე (ქვედა ნამახვანი) გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 28 თებერვლის N2-191 ბრძანება

სასარჩელო მოთხოვნა და მისი სამართლებრივი საფუძვლები

1. სასარჩელო მოთხოვნა

ბათილად იქნეს ცნობილი „წყალტუბოსა და ცაგერის მუნიციპალიტეტებში, შპს „ენკა რინიუებლზის“ მდ. რიონზე ორსაფეხურიანი ჰესების კასკადის (ტვიში ჰესი 100 მგვტ დადგმული სიმძლავრით და ნამახვანი-ჟონეთი ჰესი - 333 მგვტ დადგმული სიმძლავრით) მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტში ექსპლუატაციის პირობების ცვლილებებზე (ქვედა ნამახვანი) გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 28 თებერვლის #2-191 ბრძანება.

მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები:

1. სარჩელი შეესაბამება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 177-ე მუხლის მოთხოვნებს. კერძოდ:

1.1. სსსკ-ის 177.3 მუხლის თანახმად, სარჩელი უნდა პასუხობდეს ამ კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული ფორმის ნიმუშს და შედგენილი უნდა იყოს ამ ნიმუშში მითითებული წესების დაცვით. სარჩელში სრულყოფილად და თანამიმდევრობით უნდა იყოს ასახული მოსარჩელის მოსაზრებები საქმის თითოეულ ფაქტობრივ გარემოებასა და მტკიცებულებასთან დაკავშირებით. წინამდებარე სარჩელი შედგენილია საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული ფორმის ნიმუშში ასახული კითხვარების მიხედვით, თანამიმდევრობით არის გადმოცემული დავის არსი, სრულყოფილად და თანამიმდევრულად არის გადმოცემული თითოეული ფაქტობრივი გარემოება, ამ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით მოსარჩელის მოსაზრებები, ასევე თანამიმდევრულად არის მითითებული და წარმოდგენილი ამ ფაქტობრივი გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულებები (იხ. სარჩელი)

1.2. სარჩელი სრულად შეესაბამება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლის მოთხოვნებს, მასში შესაბამის გრაფაში მითითებულია მხარეები, მათი რეკვიზიტები სრულად.

1.3. სარჩელი წარმოდგენილია განსჯად სასამართლოში, რომელიც არის თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია, ვინაიდან გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მიერ, რომლის იურიდიული მისამართია - ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი 6.

2. რაც შეეხება სასარჩელო მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებს:

მიგვაჩნია, რომ გასაჩივრებული - „წყალტუბოსა და ცაგერის მუნიციპალიტეტებში, შპს „ენკა რინიუებლზის“ მდ. რიონზე ორსაფეხურიანი ჰესების კასკადის (ტვიში ჰესი 100 მგვტ დადგმული სიმძლავრით და ნამახვანი-ჟონეთი ჰესი - 333 მგვტ დადგმული სიმძლავრით) მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტში ექსპლუატაციის პირობების ცვლილებებზე (ქვედა ნამახვანი) გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 28 თებერვლის #2-191 ბრძანება გამოცემულია მოქმედი კანონმდებლობის უხეში დარღვევით და ის ბათილად უნდა იქნეს ცნობილი, სზაკ-ის მე-60 პრიმა მუხლის პირველი და მეორე ნაწილების თანახმად, შემდეგ გარემოებათა გამო:

2.1. სზაკ-ის 2.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო არის ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ან დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა), აგრეთვე, ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს. მაშასადამე, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელზეც ამავე კოდექსის მე-3 მუხლის თანახმად, ვრცელდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დებულებანი.

2.2. სზაკ-ის 2.1 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა

შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს. გასაჩივრებული გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 28 თებერვლის #2-191 ბრძანება, ფორმალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით, წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტს, ვინაიდან გამოცემულია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, ადმინისტრაციულ კანონმდებლობაზე მითითებით. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული ამ მმართველობითი ღონისძიების შედეგად დამტკიცებულია - გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება მდ. რიონზე ორსაფეხურიანი ჰესების კასკადის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტში ექსპლუატაციის პირობების ცვლილებების პროექტზე.

2.3. სზაკ-ის 5.1 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არ აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განხორციელოს რაიმე ქმედება.

3. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი:

3.1. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-5 მუხლის თანახმად, გარემოზე ზემოქმედების შეფასებას (გზმ) ექვემდებარება ამ კოდექსის I დანართით გათვალისწინებული საქმიანობა და ამავე კოდექსის II დანართით გათვალისწინებული ის საქმიანობა, რომელიც ამ კოდექსის მე-7 მუხლით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურის შესაბამისად მიღებული სკრინინგის გადაწყვეტილების საფუძველზე დაექვემდებარება გზმ-ს.

ამავე მუხლის თანახმად, გზმ-ის მიზანია ამ კოდექსით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებით გამოწვეული შემდეგ ფაქტორებზე პირდაპირი და არაპირდაპირი ზემოქმედების გამოვლენა, შესწავლა და აღწერა:

- ა) ადამიანის ჯანმრთელობა და უსაფრთხოება;
- ბ) ბიომრავალფეროვნება (მათ შორის, მცენარეთა და ცხოველთა სახეობები, ჰაბიტატები, ეკოსისტემები);
- გ) წყალი, ჰაერი, ნიადაგი, მიწა, კლიმატი და ლანდშაფტი;
- დ) კულტურული მემკვიდრეობა და მატერიალური ფასეულობები;
- ე) ამ ნაწილის „ა“-„დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ფაქტორების ურთიერთქმედება.

ზემოთჩამოთვლილ ფაქტორებზე ზემოქმედების გამოვლენა, შესწავლა და აღწერა უნდა მოიცავდეს აგრეთვე მასშტაბური ავარიის ან/და ბუნებრივი კატასტროფის რისკების მიმართ საქმიანობასთან დაკავშირებულ საფრთხეებს.

გასაჩივრებული აქტის ტექსტი (გადაწყვეტილების პირობები) ნათელყოფს, რომ მოცემულ შემთხვევაში პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასება ვერ უზრუნველყოფდა საქმიანობის განხორციელებით გამოწვეული ზემოთჩამოთვლილ ფაქტორებზე პირდაპირი და არაპირდაპირი ზემოქმედების გამოვლენას, შესწავლასა და აღწერას, თუმცა სამინისტრომ პროექტზე მაინც გასცა დადებითი გადაწყვეტილება.

3.2 კოდექსის მე-6 მუხლის თანახმად, გზმ-ის ძირითადი ეტაპებია:

- ა) ამ კოდექსის მე-8 და მე-9 მუხლებით განსაზღვრული სკოპინგის პროცედურა;
- ბ) საქმიანობის განმახორციელებლის ან კონსულტანტის მიერ გზმ-ის ანგარიშის მომზადება ამ კოდექსის მე-10 მუხლის შესაბამისად;
- გ) საზოგადოების მონაწილეობა;
- დ) სამინისტროს მიერ გზმ-ის ანგარიშში ასახული ინფორმაციის, საჭიროების შემთხვევაში საქმიანობის განმახორციელებლის მიერ სამინისტროსთვის წარდგენილი დამატებითი ინფორმაციის, საზოგადოების მონაწილეობისა და უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოებთან კონსულტაციების დროს მიღებული ინფორმაციის შეფასება;
- ე) ექსპერტიზის ჩატარება ამ კოდექსის VI თავის შესაბამისად;

კოდექსის მე-9 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, 6. სამინისტროს მიერ გაცემული **სკოპინგის დასკვნა სავალდებულოა** საქმიანობის განმახორციელებლისთვის გზმ-ის ანგარიშის მომზადებისას.

სკოპინგის დასკვნის თანახმად, სავალდებულოდ წარმოსადგენი დოკუმენტების/ინფორმაციის დიდი ნაწილი არ ყოფილა წარმოდგენილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში, თუმცა სამინისტრომ გასცა დადებითი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება და დაავალა ნებართვის მფლობელს, პოსტ ფაქტუმ, იმ ინფორმაციის წარმოდგენა, რომელიც კრიტიკულად მნიშვნელოვანი და კანონით სავალდებულო იყო გადაწყვეტილების მიღების ეტაპზე, რათა განსაზღვრულიყო პროექტის განხორციელების შედეგად გარემოს, ადამიანის სიცოცხლის ან/და ჯანმრთელობის, კულტურული მემკვიდრეობისა და მატერიალური ფასეულობებისათვის შექმნილი საფრთხის დონე და ამ საფრთხის შემსუბუქებისა, თუ თავიდან არიდების შესაძლებლობები.

3.3 გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-10 მუხლის თანახმად, გზშ-ის ანგარიშში უნდა მოიცავდეს:

ა) დაგეგმილი საქმიანობის აღწერას, კერძოდ:

- ა.ა) საქმიანობის განხორციელების ადგილის აღწერას, GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატების მითითებით (shp-ფაილთან ერთად), აგრეთვე დაგეგმილი საქმიანობისთვის გარემოს არსებული მდგომარეობის აღწერას;
- ა.ბ) ინფორმაციას მიწის კატეგორიისა და მიწათსარგებლობის ფორმის შესახებ, როგორც მშენებლობის, ისე ექსპლუატაციის ეტაპზე;
- ა.გ) ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის ფიზიკური მახასიათებლების (სიმაღლე, მასშტაბი და საწარმოო პროცესი, მათ შორის, შესაძლო საწარმოებელი პროდუქციის ოდენობა, მოთხოვნილი ენერჯია, წარმოებისას გამოსაყენებელი მასალა და ბუნებრივი რესურსები და სხვა) შესახებ;
- ა.დ) ინფორმაციას სადემონტაჟო სამუშაოებისა და მეთოდების შესახებ (საჭიროების შემთხვევაში);
- ა.ე) ინფორმაციას მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპებზე შესაძლო უარყოფითი შედეგების და ემისიების (როგორებიცაა წყლის, ჰაერის, მიწის და წიაღისეულის დაბინძურება, ხმაური, ვიბრაცია, ელექტრომაგნიტური გამოსხივება, სითბური გამოსხივება, რადიაცია) შესახებ;
- ა.ვ) ინფორმაციას იმ ნარჩენების სახეების, მახასიათებლებისა და რაოდენობის შესახებ, რომლებიც შესაძლოა წარმოიქმნას მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპებზე, აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში, ნარჩენების მართვის სფეროში მოქმედი ნორმატიული აქტებით განსაზღვრულ დამატებით ინფორმაციას;

ბ) ინფორმაციას გარემოს დაცვის მიზნით შემოთავაზებული დაგეგმილი საქმიანობისა და მისი განხორციელების ადგილის ყველა გონივრული ალტერნატივის შესახებ, შესაბამისი დასაბუთებით, მათ შორის, უმოქმედობის (ნულოვანი) ალტერნატივის შესახებ, რომელიც გულისხმობს საქმიანობის განხორციელებლობის შემთხვევაში გარემოს არსებული მდგომარეობის ბუნებრივად განვითარების აღწერას, რომლის შეფასებაც შესაძლებელია არსებული ინფორმაციის გამოყენებით და მეცნიერულ ცოდნაზე დაყრდნობით;

გ) ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებისას გარემოზე შესაძლო მნიშვნელოვანი ზემოქმედების შესახებ, მათ შორის, მოსახლეობაზე, ადამიანის ჯანმრთელობაზე, ბიომრავალფეროვნებაზე (მათ შორის, მცენარეთა და ცხოველთა სახეობები, ჰაბიტატები, ეკოსისტემები), წყალზე (მათ შორის, ჰიდრომორფოლოგიური ცვლილებები, რაოდენობა, ხარისხი), ჰაერზე, ნიადაგზე (მათ შორის, ნიადაგის მოხსნა), მიწაზე (მათ შორის, ორგანული ნივთიერებები, ეროზია, დატკეპნა, დეგრადაცია), კლიმატზე (მათ შორის, სათბურის გაზების ემისია), ლანდშაფტზე, კულტურულ მემკვიდრეობაზე (მათ შორის, არქიტექტურული და არქეოლოგიური ასპექტები) და მატერიალურ ფასეულობებზე ზემოქმედების შესახებ;

დ) ინფორმაციას ამ ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ კომპონენტებსა და მათ ურთიერთქმედებაზე დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებით შესაძლო პირდაპირი და არაპირდაპირი, კუმულაციური, ტრანსსასაზღვრო, მოკლევადიანი და გრძელვადიანი, პოზიტიური და ნეგატიური ზემოქმედების შესახებ, რომელიც გამოწვეულია:

- დ.ა) დაგეგმილი საქმიანობისთვის საჭირო სამშენებლო სამუშაოებით, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, სადემონტაჟო სამუშაოებით;

- დ.ბ) ბუნებრივი რესურსების (განსაკუთრებით – წყლის, ნიადაგის, მიწის, ბიომრავალფეროვნების) გამოყენებით, ამ რესურსების ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით;
- დ.გ) გარემოს დამაბინძურებელი ფაქტორების ემისიით, ხმაურით, ვიბრაციით, რადიაციით, ნარჩენების განთავსებითა და აღდგენით;
- დ.დ) გარემოზე, ადამიანის ჯანმრთელობაზე ან კულტურულ მემკვიდრეობაზე ზემოქმედების რისკებით (მაგალითად, ავარიის ან კატასტროფის შემთხვევაში);
- დ.ე) სხვა, არსებულ საქმიანობასთან ან დაგეგმილ საქმიანობასთან კუმულაციური ზემოქმედებით;
- დ.ვ) საქმიანობის კლიმატზე ზემოქმედებით და კლიმატის ცვლილებით განპირობებული საქმიანობის მოწყვლადობით;
- დ.ზ) გამოყენებული ტექნოლოგიით, მასალით ან/და ნივთიერებით;

ე) ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების შედეგად შესაძლო ინციდენტების განსაზღვრისა და მათი შედეგების შეფასების შესახებ, მათ შორის, ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების სამოქმედო გეგმას;

ვ) სამოქმედო გეგმას დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებით გამოწვეული გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფითი ზემოქმედების შედეგების, მათი თავიდან აცილების, შემცირების, შერბილებისა და კომპენსაციის ღონისძიებათა შესახებ. ინფორმაცია უნდა მოიცავდეს როგორც საქმიანობის განხორციელების, ისე შემდგომი ექსპლუატაციის ეტაპებს;

ზ) გარემოზე შეუქცევი ზემოქმედების შეფასებას და მისი აუცილებლობის დასაბუთებას, რაც გულისხმობს გარემოზე შეუქცევი ზემოქმედებით გამოწვეული დანაკარგისა და მიღებული სარგებლის ურთიერთშეწონას გარემოსდაცვით, კულტურულ, ეკონომიკურ და სოციალურ ქრილში;

თ) ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში ამ საქმიანობის დაწყებამდე არსებული გარემოს მდგომარეობის აღდგენის საშუალებების შესახებ;

ი) დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებით გამოწვეული გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების აღწერას, რომელიც განპირობებულია ავარიისა და კატასტროფის რისკის მიმართ საქმიანობის მოწყვლადობით;

კ) სკოპინგის ეტაპზე საზოგადოების ინფორმირებისა და მის მიერ წარმოდგენილი მოსაზრებებისა და შენიშვნების შეფასებას;

ლ) ინფორმაციას კვლევების მეთოდოლოგიის და გარემოს შესახებ ინფორმაციის წყაროების თაობაზე;

მ) ამ ნაწილის „ა“-„ლ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაციის მოკლე არატექნიკურ რეზიუმეს, საზოგადოების ინფორმირებისა და მონაწილეობის უზრუნველსაყოფად.

გზმ-ის ანგარიშს უნდა დაერთოს:

- დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის გენერალური გეგმა, GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატების მითითებით (shp-ფაილთან ერთად), რომელშიც აღნიშნულია დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი, ღრობითი ნაგებობები და კომუნალური სისტემები;
- ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობით გათვალისწინებული მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი გამონამუშევრის განთავსების ტერიტორიის (სანაყარო) ალტერნატივების შესახებ, GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატების მითითებით, აგრეთვე ინფორმაცია აღნიშნული გამონამუშევრის განთავსების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

არამართო განსახილველად წარდგენილი დოკუმენტები, არამედ თავად გასაჩივრებული აქტის ტექსტი (გადაწყვეტილების პირობები) ნათელყოფს, რომ მოცემულ შემთხვევაში პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასება არ მოიცავდა კოდექსის მე-10 მუხლით დადგენილ ინფორმაციას და ნებართვის მფლობელს ამ ინფორმაციის წარმოდგენა პოსტ ფაქტუმ დაევალა.

3.4 კოდექსის მე-12 მუხლი

3.4.1. კოდექსის მე-12 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სამინისტრო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლით გათვალისწინებული ხარვეზის დადგენის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე განცხადების რეგისტრაციიდან 15 დღის ვადაში.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ნაცვლად იმისა, რომ წარმოდგენილი დოკუმენტების განხილვის საწყის ეტაპზე უსარგებლა სზაკ-ის 83-ე მუხლით დადგენილი შესაძლებლობით და ნებართვის მაძიებლისათვის მოეთხოვა სავალდებულო ინფორმაციის წარმოდგენა, ნებართვის გაცემის შემდეგ დაავალა ამ ინფორმაციის წარმოდგენა.

ამასთანავე, უცნობია რა ნორმის საფუძველზე შეაჩერა სამინისტრომ წარმოება ადმინისტრაციული წარმოების 49-ე დღეს განუსაზღვრელი ვადით და მოითხოვა არა მართო დამატებითი ინფორმაციის წარდგენა, არამედ საკითხების დაზუსტება და კორექტირებაც კი.

3.4.2. მე-12 მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, გზმ-ის ანგარიშის საჯარო განხილვის ორგანიზებისა და ჩატარებისთვის პასუხისმგებელია სამინისტრო. საჯარო განხილვას უძღვება და საჯარო განხილვის შესახებ ოქმს ადგენს სამინისტროს წარმომადგენელი. საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაცია უნდა გამოქვეყნდეს საჯარო განხილვის ჩატარებამდე არაუგვიანეს 20 დღისა, ამ კოდექსის 32-ე მუხლის შესაბამისად. საჯარო განხილვა ტარდება დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილთან ყველაზე ახლოს მდებარე სათანადო ადმინისტრაციული ორგანოს შენობა-ნაგებობაში ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე. საჯარო განხილვა ღიაა და მასში მონაწილეობის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს.

თუმცა, როგორც ზემოთ აღვწერეთ, საჯარო განხილვა ჩატარების დროისა და ადგილის შესახებ ინფორმაცია პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მოსახლეობის დიდი ნაწილისათვის უცნობი იყო, ვინაიდან განცხადება მათთვის ხელმისაწვდომი საშუალებებით არ გავრცელებულა. სხდომა ჩატარდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული ერთეულის შენობაში. ქალაქი წყალტუბო ზემოქმედების ქვეშ მყოფი სოფლებიდან დაახლოებით 50 კმ-ითაა დაშორებული და პროექტის უშუალო ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მოსახლეობის დიდ ნაწილს სულ მცირე 2-3 საათი დასჭირდა განხილვაზე მოსახვედრად. აღსანიშნავია, რომ ამ სოფლებიდან განხილვის ადგილამდე მიმავალი საჯარო ტრანსპორტიც საკმაოდ შეზღუდულია, ამიტომ განხილვაზე მისვლა დაინტერესებული საზოგადოების ძალზე მცირე ნაწილმა შესძლო.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროექტის უშუალო ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მოსახლეობისათვის საერთოდ უცნობი დარჩა სამინისტროს მოთხოვნის საფუძველზე დამატებით წარდგენილი დოკუმენტაციისა და განმარტებების შინაარსი, ვინაიდან ამ დოკუმენტების გაცნობისა და კომენტირების შესაძლებლობების შესახებ ინფორმაცია ადგილზე არ გავრცელებულა. ასევე, განახლებული დოკუმენტაცია, რომლის საფუძველზეც მოხდა საბოლოოდ გადაწყვეტილების მიღება არ გამხდარა საჯარო სხდომაზე განხილვის საგანი.

3.4.3. ამავე მუხლის მე-9 ნაწილის თანახმად, „გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე განცხადების რეგისტრაციიდან არაუადრეს 51-ე დღისა და არაუგვიანეს 55-ე დღისა მინისტრი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ, ხოლო ამ კოდექსის მე-14 მუხლით განსაზღვრული საფუძვლის არსებობისას – საქმიანობის განხორციელებაზე უარის თქმის შესახებ“. განსახილველ შემთხვევაში გადაწყვეტილების მიღება მოხდა **77-ე დღეს** მოხდა, თუმცა წარმოების ვადის გაგრძელების შესახებ შესაბამისი გადაწყვეტილება წარმოების მასალებში არ მოიპოვება.

3.5 კოდექსის მე-13 მუხლის თანახმად:

1. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება, გარდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლით დადგენილი მოთხოვნებისა, უნდა მოიცავდეს:

- ა) ინფორმაციას საქმიანობის განხორციელების ადგილისა და საქმიანობის სახის შესახებ;
- ბ) ინფორმაციას გარემოსდაცვითი ღონისძიებების შესახებ, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნეს სხვა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ლიცენზიის/ნებართვის გაცემის დროს;
- გ) პირობებს, რომელთა შესრულებაც სავალდებულოა მშენებლობისა და ექსპლუატაციის პერიოდში და ექსპლუატაციის დასრულების შემდეგ;
- დ) ინფორმაციას საქმიანობის შემდგომი ანალიზის მიზნის, მასშტაბისა და პერიოდულობის შესახებ;
- ე) ტრანსსასაზღვრო ზემოქმედებასთან დაკავშირებით ამ კოდექსის V თავით გათვალისწინებული პროცედურის განხორციელების შემთხვევაში – ინფორმაციას აღნიშნული პროცედურის შედეგების შესახებ.

2. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება, ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ინფორმაციის გარდა, შესაძლებელია შეიცავდეს:

- ა) მოთხოვნებს საწარმოო ავარიის შედეგად ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად;
- ბ) საქმიანობის განხორციელებით გარემოზე შესაძლო ზემოქმედების თავიდან აცილების, შემცირების ან შერბილების ვალდებულებას ან/და შესაბამისი კომპენსაციის ვალდებულებას;
- გ) ამ კოდექსის მე-10 მუხლის მე-4 ნაწილის შენიშვნით გათვალისწინებულ შემთხვევაში სპეციალური დანიშნულებით სარგებლობისთვის საკომპენსაციო ღონისძიებებს ან/და შემარბილებელ ღონისძიებებს, რომლებიც საქართველოს ტყის კოდექსის მე-15 და მე-16 მუხლებით განსაზღვრულ სახელმწიფო ტყის ფონდის მართვის უფლების მქონე შესაბამის ორგანოსთან შეთანხმების საფუძველზე დგინდება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების პირობებით. საკომპენსაციო ღონისძიებების ბენეფიციარია აღნიშნული ორგანო;
- დ) ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე სხვა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განსაზღვრულ პირობებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

კოდექსის მე-13 მუხლის თანახმად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება შესაძლოა მოიცავდეს პირობებს, რომელთა შესრულებაც სავალდებულოა **მშენებლობისა და ექსპლუატაციის პერიოდში და ექსპლუატაციის დასრულების შემდეგ**, თუმცა, არ არსებობს ნორმა, რომელიც სამინისტროს მიანიჭებდა უფლებამოსილებას ნებართვის მაძიებელს დაუდგინოს პირობები, რომელთა შესრულებაც სავალდებულოა **მშენებლობის დაწყებამდე**. მითუმეტეს, ისეთი ინფორმაციის წარმოდგენის და ვალდებულებას, რომელიც არსებობას გადაწყვეტი მნიშვნელობა სწორედ გადაწყვეტილების მიღების დროს ჰქონდა.

4. “გარემოს დაცვის შესახებ” საქართველოს კანონის მე-6 მუხლი, რომლის თანახმად მოქალაქეს უფლება აქვს: ვ) მონაწილეობა მიიღოს გარემოს დაცვის სფეროში მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების განხილვისა და მიღების პროცესში. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, საზოგადოებას არ მიეცა გასაჩივრებული აქტის გამოცემის პროცესში ჩართვის შესაძლებლობა.

5. „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ” კონვენციის პირველი, მესამე და მეექვსე მუხლების მოთხოვნა. კერძოდ: „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ” კონვენციის 1. მუხლის თანახმად, „იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას ახლანდელი და მომავალი თაობების ყოველი ადამიანის უფლება იცხოვროს საკუთარი ჯანმრთელობის და კეთილდღეობისათვის შესაფერის გარემოში, ამ კონვენციის დებულების შესაბამისად ყველა მხარე იძლევა საზოგადოებისათვის გარემოსდაცვითი ინფორმაციის და მასთან დაკავშირებულ მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მათი მონაწილეობის უფლების გარანტიას”.

კონვენციის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „ყოველი მხარე ეცდება უზრუნველყოს, რომ ოფიციალურმა პირებმა და ხელისუფლების ორგანოებმა წარმართონ და ხელი შეუწყონ საზოგადოებას, რათა მათთვის

ხელმისაწვდომი გახადონ გარემოსდაცვითი ინფორმაცია, გაუადვილონ გარემოს დაცვის სფეროში გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობა და ხელმისაწვდომი გახადონ სამართალწარმოება“; ხოლო იმავე მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, „წინამდებარე კონვენციის შესაბამისი დებულებების ფარგლებში საზოგადოებას ექნება გარემოსდაცვითი ინფორმაციის და მართლმსაჯულების საკითხების მოპოვების და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობის შესაძლებლობა მიუხედავად მისი მოქალაქეობისა, ეროვნებისა და საცხოვრებელი ადგილისა, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, სად არის რეგისტრირებული მათი სამყოფელი ან სად ეწევიან ფაქტიურ საქმიანობას“.

კონვენციის მე-6 მუხლის თანახმად, დაინტერესებული საზოგადოება ადეკვატურად, დროულად და ეფექტურად უნდა იყოს ინფორმირებული საზოგადოებრივი თუ ინდივიდუალური შეტყობინების მეშვეობით (გარემოებათა გათვალისწინებით) გარემოს დაცვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესის საწყის ეტაპზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი ითვალისწინებს ზემოთჩამოთვლილი დებულებების არ გამოყენების შესაძლებლობას - „თუ ეს გათვალისწინებულია ეროვნული კანონმდებლობით, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება არ გამოიყენოს ამ მუხლის დებულებები იმ საქმიანობასთან დაკავშირებით, რომელიც ეხება ეროვნულ თავდაცვას, თუ ეს მხარე მიიჩნევს, რომ ეს უარყოფით ზეგავლენას იქონიებს ამ მიზნებზე“. როგორც ადმინისტრაციული წარმოების მასალებიდან ირკვევა, დაგეგმილ საქმიანობას არაფერი აქვს საერთო ეროვნულ თავდაცვასთან.

6. საქართველოს კონსტიტუცია

საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლის თანახმად, სახელმწიფო ზრუნავს გარემოს დაცვასა და ბუნებრივი რესურსებით რაციონალურ სარგებლობაზე; სახელმწიფო ზრუნავს ეროვნული ფასეულობებისა და თვითმყოფადობის, კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე, განათლების, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაზე.

გასაჩივრებული გადაწყვეტილებით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ მიღებული გადაწყვეტილებით უგულებელყო გარემოს დაცვასა და ბუნებრივი რესურსებით რაციონალურ სარგებლობაზე და კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე კონსტიტუციით დადგენილი ვალდებულება.

7. სასკ-ის 22-ე, 32-ე მუხლები.

მტკიცებითი შუამდგომლობები

მოწმე	ფაქტობრივი გარემოება(ები)
ექსპერტი	ფაქტობრივი გარემოება(ები)
სპეციალისტი	ფაქტობრივი გარემოება(ები)

შუამდგომლობები, საპატიო მიზეზის გამო, მტკიცებულებათა წარმოდგენის გადავადების თაობაზე.

შუამდგომლობები მტკიცებულებათა გამოთხოვის თაობაზე.

დაევალოს მოპასუხეს სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემასთან დაკავშირებით ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების მასალების სრულად წარმოდგენა.

სხვა სახის შუამდგომლობები

1. მოთხოვნა

საქმეში მესამე პირად ჩაერთოს შპს „ენკა რინიუებლზი“.

არგუმენტაცია: საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მესამე პირი აუცილებლად უნდა იქნეს საქმეში ჩაბმული, თუ იგი არის იმ სამართალური ერთობის მონაწილე, რომლის თაობაზედაც სასამართლოს მიერ მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანა შესაძლებელია. მოცემულ შემთხვევაში სასარჩელო მოთხოვნა ეხება, შპს „ენკა რინიუებლზის“ სახელზე გაცემული აქტის ბათილად ცნობას. შესაბამისად, შპს „ენკა რინიუებლზ“ (ს/კ 404507495, მისამართი: საქართველო, თბილისი, არაყიშვილის ქუჩა #3, ბინა #74) წარმოადგენს მე-16 მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრულ მესამე პირს აღნიშნული დავის მიზნებისთვის.

დაგჭირდებათ თუ არა თქვენ ან/და დასაბარებელ პირს თარჯიმანი საქმის ზეპირი განხილვისას?		
დიახ	<input type="checkbox"/>	ვის? რომელი ენის მცოდნე?
არა	<input checked="" type="checkbox"/>	

სარჩელის ფასი

— არაქონებრივი ღარი

სახელმწიფო ბაჟი

— 100 ლარი

სახელმწიფო ბაჟის გადახდის წესი

სახელმწიფო ბაჟი შეიტანება სახელმწიფო ბიუჯეტში, ხაზინის ერთიან ანგარიშზე:

ბანკის კოდი: TRESGE22

ანგარიშის #: 200122900 (იხ. სახაზინო კოდეზი)

1. ხომ არ გათავისუფლებთ კანონი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან? დიახ არა

რომელი ნორმა?

მტკიცებულება:

2. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებას? დიახ არა

რის საფუძველზე?

მტკიცებულება:

3. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის ოდენობის შემცირებას? დიახ არა

რის საფუძველზე?

მტკიცებულება:

4. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადებას? დიახ არა

რის საფუძველზე??

მტკიცებულება:

შუამდგომლობები პროცესის სხვა (სასამართლო ან სასამართლოს გარეშე) ხარჯების თაობაზე:

5.

SeniSvna-1

გამოიყენეთ თუ არა, სასამართლოსათვის მომართვამდე, ადმინისტრაციული საჩივრის ერთჯერადად წარდგენის შესაძლებლობა?

დიახ	<input type="checkbox"/>	მტკიცებულება:
არა	<input checked="" type="checkbox"/>	რადგან გასაჩივრებული აქტის თანახმად, ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თქვენს ინტერესში შედის საქმის მორიგებით დამთავრება. მორიგება წარმოადგენს დავის გადაწყვეტის ყველაზე სწრაფ, ეფექტურ და იაფ საშუალებას. ამასთან, გეძლევათ შესაძლებლობა, თავად განსაზღვროთ დავის შედეგი, ასევე, აღმოფხვრათ კონფლიქტი ერთმანეთს შორის.

სასამართლო სხდომამდე მხარეთა მორიგების შემთხვევაში მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ხოლო სასამართლო სხდომაზე მორიგების შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება.

მოურიგებლობის ნეგატიური შედეგებია:

- » რთულადგანჭვრეტადი შედეგი;
- » ხანგრძლივი სასამართლო პროცესი;

- » სასამართლო ხარჯები;
- » სასამართლოსგარეშე ხარჯები;
- » ყოველდღიური ხარჯები.

თანახმა ხართ თუ არა, რომ საქმე დაამთავროთ მორიგებით?

დიახ	<input type="checkbox"/>	მორიგების პირობები:
არა	<input checked="" type="checkbox"/>	რადგან დავის საგნიდან გამომდინარე შეუძლებელია.

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე?

დიახ	<input type="checkbox"/>
არა	<input checked="" type="checkbox"/>

რადგან განსახილველი საქმე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მხარისათვის.

რა დრო დაგჭირდებათ მთავარ სხდომაზე თქვენი პოზიციის დასაბუთებისათვის?

15 წუთი რადგან ეს დრო არის საჭირო მხარის პოზიციის დასაბუთებისათვის.

რამდენ სხდომაში მიგაჩნიათ გონივრულად დავის განხილვის დასრულება?

1 სხდომაში რადგან ერთ სხდომაში დასრულება გონივრულია.

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს დაჩქარებული წესით?

დიახ	<input checked="" type="checkbox"/>
არა	<input type="checkbox"/>

რადგან

თქვენ მიერ მითითებულ რომელ მისამართზე ისურვებდით სასამართლო შეტყობინების მიღებას

ძირითად მისამართზე

დროის ოპტიმალური შუალედი:

14:00 - 18:00

თანახმა ხართ თუ არა, რომ წერილობითი მასალები მიიღოთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით?

დიახ	<input checked="" type="checkbox"/>
არა	<input type="checkbox"/>

რადგან

თანდართული საბუთების ნუსხა

1. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 25 დეკემბრის Nი-1014 ბრძანება - ელ.ვერსია;
2. სს „ნამახვანის“ დირექტორის 2019 წლის 18 იანვრის სკრინინგის განცხადება - ელ.ვერსია;
3. „ნამახვანის ჰესების კასკადის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტში შეტანილი ცვლილებებზე (ექსპლუატაციის პირობების შეცვლა) სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ“ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 14 თებერვლის N 2-143 ბრძანება - ელ.ვერსია;
4. შპს „ენკა რინიუებლზის“ 2019 წლის 13 ივნისს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარდგენილი წერილი - ელ.ვერსია;
5. „შპს „ენკა რინიუებლზის“ მდ. რიონზე ორსაფეხურიანი ჰესების კასკადის (ტვიში ჰესი 100 მგვტ დადგმული სიმძლავრით და ნამახვანი-ჟონეთი ჰესი - 333 მგვტ დადგმული სიმძლავრით) მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტში ექსპლუატაციის პირობების ცვლილების (ქვედა ნამახვანი) სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ“ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 1 ოქტომბრის N 2-943 ბრძანება - ელ.ვერსია;
6. შპს „ენკა რინიუებლზის“ დირექტორის 2019 წლის 8 ნოემბრის წერილი გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს - ელ.ვერსია;
7. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული განცხადება - ელ.ვერსია;
8. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2918 წლის 15 ნოემბრის N 2-1097 ბრძანება- ელ.ვერსია;
9. 2019 წლის 20 ნოემბერს იანვარს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული განცხადება - ელ.ვერსია;
10. საჯარო განხილვის ოქმი და აუდიო ჩანაწერი - ელ.ვერსია;

11. არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადება, სახალხო დამცველის მიმართვა, ტვიშის მაცხოვრებლის საჩივარი, სამინისტროს პასუხი სახალხო დამცველს, სამინისტროს პასუხი მოქალაქეს - ელ.ვერსია;
12. ეკოლოგიური ექსპერტიზისათვის შექმნილი კომისიის წევრების მიერ მომზადებული დასკვნები - ელ.ვერსია;
13. 2020 წლის 27 იანვარს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული განცხადება და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილის ნინო თანდილაშვილის 2020 წლის 21 იანვრის N 729/01 წერილი შპს „ენკა რინიუებლზს“ - ელ.ვერსია;
14. 2020 წლის 30 იანვარს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული განცხადება - ელ.ვერსია;
15. შპს „ენკა რინიუებლზის“ 2020 წლის 27 იანვრის წერილი თანდართული დოკუმენტაციით - ელ.ვერსია;
16. გარემოსა დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 4 თებერვლის N 2-105 ბრძანება - ელ.ვერსია;
17. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2019 წლის 17 დეკემბრის N 12601/01 წერილი და სიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითმა ცენტრის მომზადებული ანალიზი - ელ.ვერსია;
18. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2019 წლის 12 დეკემბრის N 12420/01 წერილი და სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოს 2020 წლის 14 იანვრის N 03/18 წერილი - ელ.ვერსია;
19. ექსპერტების ცალკეული დასკვნები და კომისიის კრებისთი დასკვნა - ელ.ვერსია;
20. „წყალტუბოსა და ცაგერის მუნიციპალიტეტებში, შპს „ენკა რინიუებლზის“ მდ. რიონზე ორსაფეხურიანი ჰესების კასკადის (ტვიში ჰესი 100 მგვტ დადგმული სიმძლავრით და ნამახვანი-ჟონეთი ჰესი - 333 მგვტ დადგმული სიმძლავრით) მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტში ექსპლუატაციის პირობების ცვლილებებზე (ქვედა ნამახვანი) გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 28 თებერვლის N2-191 ბრძანება - ელ.ვერსია;
21. ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას“ ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან - 2 ფურცელი;
22. რწმუნებულებები - 2 ფურცელი;
23. ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი - 1 ფურცელი.

ფურცლების საერთო რაოდენობა: 5

სარჩელის ფორმალური გამართულობა

ამ ფორმის შევსებით თქვენ და სასამართლოს მისაღების მოხელე ამოწმებთ სარჩელის ფორმალურ (და არა შინაარსობრივ) მხარეს. გაითვალისწინეთ, რომ ნებისმიერი პირობის დაუცველობა შესაძლოა გახდეს თქვენს სარჩელზე ხარვეზის დადგენისა და შემდგომში მის მიღებაზე უარის თქმის საფუძველი.

	დიახ	არა
1. მითითებულია იმ სასამართლოს დასახელება, რომელშიც შეგაქვთ სარჩელი.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2. მითითებულია თქვენი (მოსარჩელის), თქვენი (მოსარჩელის) წარმომადგენლის და მოპასუხის სახელი, გვარი (სახელწოდება), პირადი (საიდენტიფიკაციო) ნომერი და ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი).	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3. მითითებულია თქვენი (მოსარჩელის), თქვენი (მოსარჩელის) წარმომადგენლის და მოპასუხის ალტერნატიული მისამართი, სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი, ტელეფონი, მობილური, ელექტრონული ფოსტა და ფაქსი.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
4. მითითებულია სხდომაზე დასაბარებელი პირის სახელი, გვარი, ძირითადი მისამართი, ალტერნატიული მისამართი, სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი, ტელეფონი, მობილური, ელექტრონული ფოსტა და ფაქსი. მითითებულია საკონტაქტო პირის მონაცემები.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
5. მითითებულია დავის საგანი.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
6. მითითებულია სარჩელის ფასი.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
7. მითითებულია თქვენი (სასარჩელო) მოთხოვნა.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
8. მითითებულია სარჩელისათვის თანდართული საბუთების ნუსხა.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
9. სარჩელს ერთვის თანდართული საბუთების ნუსხაში მითითებული ყველა დოკუმენტი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მტკიცებულების წარმოუდგენლობა საპატიო მიზეზითაა გამართლებული.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
10. სარჩელს ერთვის სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი ან წარმოდგენილია შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების, მისი ოდენობის შემცირების ან გადახდის გადავადების თაობაზე.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
11. მითითებულია თქვენი მოსაზრება საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის თაობაზე.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
12. სარჩელს ერთვის წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (თუ სარჩელი შეაქვს წარმომადგენელს).	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
13. სარჩელი ხელმოწერილია	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
14. სარჩელი და თანდართული დოკუმენტები წარმოდგენილია იმდენი ასლით, რამდენიც მოპასუხე	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

მხოლოდ სასამართლო მოხმარებისთვის

სარჩელი ფორმალურად გამართულია:	სარჩელი ფორმალურად არაა გამართული:	ხელმოწერა	სახელი და გვარი
<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/> პუნქტების ჩამონათვალი		

გთხოვთ, გაითვალისწინოთ!

სასამართლოში საქმის განხილვა მიმდინარეობს თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე _ თქვენ გეკისრებათ როგორც ფაქტების მითითების, ასევე მათი დამტკიცების ტვირთი. საქმის საბოლოო შედეგი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ დაასაბუთებთ თქვენს პოზიციას და რომელი მტკიცებულებით დაადასტურებთ მათ ანუ წარმატებას განაპირობებს თქვენი პროფესიონალიზმი და თქვენს მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები.

ჩემი (ჩემი მარწმუნებლის) ცოდნის, ინფორმირებულობისა და რწმენის საუკეთესო გამოვლინებით, ამ ფორმაში ფაქტები მივუთითე სრული სახით და ისინი შეესაბამება სინამდვილეს. ვაცნობიერებ, თუ რა შედეგთან არის დაკავშირებული მონაცემების არასწორი ან/და არასრული მითითება.

	ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას“ ადმასრულებელი დირექტორი ნინო გუჯარაიძე	3 აპრილი, 2020
--	---	----------------

ხელმოწერა

ხელმომწერის სახელი და გვარი

შევსების თარიღი

შევსებული ფორმა შეგიძლიათ ჩააბაროთ სასამართლოს კანცელარიის (მისაღების) მოხელეს ან გამოაგზავნოთ ფოსტის მეშვეობით. სასამართლოს კანცელარია (მისაღები) მუშაობს 09:30-დან 17:00 საათამდე, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით.